სახ. სახ. რესპუბ.
ბ. ბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 12 (20053) პარასკევი, 15 იანვარი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

14 იანვარს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მისი მონაწილენი განიხილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიშს გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ა. მეტონიძე, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ს. ჯიქია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ა. ოსიპოვი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, პარტიის ქ. თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი მ. მ. ხანანაშვილი, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. გ. ლეკიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი ზ. დ. ჩივაძე, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი დ. თ. სავანელი, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მტვიფრავი ს. პ. ორლოვა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ხ. ემირიძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ნ. მღებრიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ხაზარაძე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადის მერგოლური ნ. მ. მელივა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ი. გუნავა, ს. ორჯონიკიძის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" გამმართველი გ. ს. რუსია, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. ზ. მაყაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ა. ჩარკვიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. გლურჯიძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ჯ. ი. გუგუჩია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე, მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის" ზეინკალი გ. ტ. აივაზოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ე. ნ. შენგელაია, საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. პ. ხოფერია, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე ჯ. თ. ქორიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე.

განცხადებებით, შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ა. ი. დათაშვილი, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ლ. ჩლაიძე, საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. გ. ფიფია, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ე. ჩიგოგიძე, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი ფ. ვ. ჯიოევი, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" გენერალური დირექტორი მ. პ. აფაქიძე, გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის" რედაქტორი თ. მ. ჯაფარლი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი კ. ნ. ჩარკვიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი შ. გ. ნიშნიანიძე, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ვ. ი. კობახიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჯ. ი. პატიაშვილმა.

განხილული საკითხის გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ს. სევასტიანოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. მ. იაშინი.

(საქინფორმი).

დროის დინამიკური სახე

ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში უკვე ორთვე-ნახევარზე მეტია გახსნილია სამხატვრო გამოფენა „საბჭოეთი", მაგრამ დღემდე ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი მიიჩქარის მანეჟისაკენ, რომ ნახოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მხატვართა შემოქმედება. საბჭოეთის იმ ადამიანთა სახე, რომლებიც ქმნიდნენ თავისი ქვეყნის სახელოვან ისტორიას და განაგრძობენ მას დღეს, აღბეჭდილია სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების ცნობილი ოსტატებისა და ახალგაზრდა ავტორების ტილოებსა და გობელენებზე, ქანდაკებასა და გრაფიკაში.

13 იანვარს გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა მ. ს. გორბაჩოვმა, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ნ. ვ. ტალიზინმა, დ. ტ. იაზოვმა, ა. პ. ბირიუკოვამ, ა. თ. დობრინინმა, ა. ი. ლუკიანოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა.

ექსპოზიციის მოცულობა შთამბეჭდავია. წარმოდგენილია თითქმის ათას ხუთასი ავტორის 2500-მდე ნამუშევარი. მათ უმრავლესობაში იგრძნობა დღევანდელი დღის სუნთქვა, შემოქმედი ინტელიგენციის მისწრაფება იმისადმი, რომ უფრო ზუსტად, მართლად და გულწრფელად განმარტონ ისტორიული მოვლენები, რომლებიც უკავშირდება დიდ ოქტომბერს, ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან ნიშანსვეტებს, სოციალისტური საზოგადოების დღევანდელ ცხოვრებას.

ჩვენი სამშობლოს გარდაქმნის პერიოდის დინამიკური სახე, რა თქმა უნდა, ასე სწრაფად სრულად ვერ აისახებოდა ტილოებზე, ქანდაკებასა და გრაფიკაში. მაგრამ ამ თემატიკის მრავალფეროვნება ჩვენი შემოქმედებითი ფრონტის მნიშვნელოვან უბანზე განახლების პირველი ყლორტებია. მხატვრები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები თითქოს ახლებურად წარმოგვიდგენენ ლენინის სახეს, გვაძლევენ საშუალებას შევიცნოთ არა მარტო მისი მოქმედების სიდიადე, არამედ მისი აზრების სიღრმეც, რწმენის ძალა. დამთვალიერებლები ინტერესით აღიქვამენ ღრმად ფილოსოფიურ ნამუშევრებსაც, რომელთა თემაა მარადიული ზოგადსაკაცობრიო კატეგორიები — სიკეთე, ჭეშმარიტება, სამართლიანობა.

გამოფენა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი საზოგადოება ავლენს უსაზღვრო შესაძლებლობებს, რათა წარმოაჩინოს სამშობლოს ყველა ხალხის სულიერი პოტენციალი, ეროვნული სამხატვრო სკოლების აყვავება, მათი ურთიერთგამდიდრება. იგი ავლენს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ნაყოფიერებას, შემოქმედებით ინდივიდუალობათა სიმდიდრეს, ჟანრებისა და სტილის და მხატვრული ძიების მრავალფეროვნებას.

ექსპოზიციის განხილვისას ყურადღება მიიპყრო იმან, რომ მზრუნველად უნდა მოვეკიდოთ მხატვართა იდეურ-ესთეტიკური პოზიციების ჩამოყალიბებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც აღსავსეა ცხოვრებისეული სიღრმით, გულწრფელობით, დიდი მხატვრული გამომსახველობით, აქტიურად შეუწყობენ ხელს სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის რევოლუციური განახლების ამოცანათა გადაწყვეტას.

(საქდესი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მაღაროელთა ნახელავი — მონღოლეთში, ეთიოპიაში, ნიკარაგუაში

საქსამთოქიმმრეწვის საწარმოო გაერთიანების სამმართველოს (დირექტორი — ო. ქილიფთარი) კოლექტივმა კარგა ხანია შეასრულა შარშანდელი გეგმა-ვალდებულებანი. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 102,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო რეალიზაციისა — 103 პროცენტით.

საყურადღებოა, რომ მაღაროელთა ნახელავი 496 სხვადასხვა საწარმო-ორგანიზაციაში გაიგზავნა, აქედან 6.700 ტონა — უცხოეთში, კერძოდ, მონღოლეთში, ეთიოპიაში, ნიკარაგუაში...

კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი. მახარაძელებმა ვალდებულება იკისრეს 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვან.

ზეგეგმითი „ნაბეღლავი"

სამკურნალო მინერალურ წყლებს შორის დიდად პოპულარულია „ნაბეღლავი". იგი ბახმაროს მთების ძირში, სოფელ ნაბეღლავში იღებს სათავეს. აქვეა მისი ჩამოსასხმელი ქარხანაც. წყალზე მოთხოვნა ძალზე დიდია. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა ახალ წელს: 900 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 970 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია 70 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების მოტორისტი მკერავი ნელი ნავროზაშვილი. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია და უკვე 1989 წლის ანგარიშში შრომობს.

ა. საკოვის ფოტო.

150 ათასი ნერგი თერჯოლელებს

ქარელის რაიონის ბებნისის საბჭოთა მეურნეობამ შარშანდელი სამეურნეო წელი ჩინებული მაჩვენებლებით დაამთავრა. თესლოვანი და კურკოვანი ხილი, ჭარხალი, საკვები კულტურები, ხეხილის ნერგი, მეცხოველეობის პროდუქტები საგეგმო მაჩვენებელზე მეტია დამზადებული. მეურნეობა რესპუბლიკაში ხეხილის ნერგის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია. შემოდგომაზე ბებნისელებმა 400 ათასი ძირი ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის ნერგი აწარმოეს. აქედან რეალიზებულია 250 ათასი, 150 ძირ ნერგს კი ბებნისელები თერჯოლაში გაუგზავნიან მომხმარებელს.

ზამთარშიც დიდია წველადობა

თავდადებით შრომობენ ლენინგორის რაიონის ორჯოსნის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები. ზამთრისათვის მეურნეობამ საკმაოდ მოიმარაგა უხეში და წვნიანი საკვები. სანიმუშო მოვლით უხეში საკვების პირობებში შეძლეს წველადობის მაღალი მაჩვენებლის მიღწევა. საშუალოდ თითოეულ ძროხაზე შარშან აქ გეგმით გათვალისწინებული 1400 კილოგრამის ნაცვლად 1950 კილოგრამი რძე მოწველეს, ყოველ 100 ძროხაზე 80 სულის ნაცვლად 87 ხბო გამოზარდეს. მეურნეობის დირექტორი ა. გოიაევი კმაყოფილია მწველავთა შრომით, სიამოვნებით ასახელებს ვარა დრიაევას, მისურათ გაბოევას, ვენერა დრიაევას, სანეთ ელოევას, რომლებმაც თითოეულ ძროხაზე 2200-2300 კილოგრამი რძე მოწველეს და წლიური დავალება 3 კვარტალში შეასრულეს. მათმა თავდადებულმა შრომამ შექმნა იმის წანამძღვარი, რომ მეურნეობა თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადავიდეს.

ახალი წელი დიდი შემართებით დაიწყეს. იანვრის პირველ დღეებში მათ გაცილებით მეტი რძე მიიღეს, ვიდრე წინა წლის იანვრის პირველ დეკადაში. გადაწყვეტილი აქვთ ზამთარშიც შეინარჩუნონ დიდი წველადობა. სათანადო პირობები არის; საკვები უხვად აქვთ მომარაგებული, პირუტყვს ზრუნვას არ აკლებენ. წელს 2500 კილოგრამზე მეტი რძის მოწველა აქვს განზრახული ვ. დრიაევას. ამ მიზნის მისაღწევად თავდადებით იღვწიან სხვა მწველავი ქალებიც.

წარმატებით დაიწყეს

ჭიათურის მრეწველობის მშრომელები, რომლებმაც შარშან გეგმის გადაჭარბებით 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია აწარმოეს, ზრდიან მიღწეულ წარმატებებს.

განსაკუთრებით ისახელეს თავი „ჭიათურმანგანუმის" ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მშრომელებმა. მათ ახალი წლის პირველ დეკადაში 2.000 ტონა ზეგეგმითი მანგანუმის კონცენტრატი გაუგზავნეს რუსთაველ და ზესტაფონელ მეტალურგებს, ამასთან გააუმჯობესეს მადნის ხარისხი, შეამცირეს მისი მოპოვების თვითღირებულება.

დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ

ახლა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება, ზამთარშიც დიდი პროდუქტიულობის შენარჩუნება საშური საქმეა. იქ, სადაც ეს ანბანური ჭეშმარიტება იციან, საქმეც კარგად მიუდით.

ცხაკაიას რაიონის ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაზარდეს ხორცისა და რძის წარმოება.

პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის სადგომები დროზე და კაპიტალურად შეკეთდა. ყველგან დამონტაჟებული და გამართულია წყლის გასაცხელებელი დანადგარები, სარწყულებლები, ნაკელის გასატანი ტრანსპორტიორები, საკვებდამამზადებელი საამქრო.

საკვებმომპოვებლებმა ადრე გაზაფხულიდან ყველაფერი იღონეს ყუათიანი სილოსით, სენაჟით, თივით და სხვა საკვები კულტურებით ფერმის უზრუნველყოფისათვის. თითოეულ სულ პირუტყვზე 17 ცენტნერის ნაცვლად დამზადებულია 27 ცენტნერი საკვები ერთეული. ამან კი წინა გამოზამთრებასთან შედარებით რძის წარმოება გაზარდა 166,8 ცენტნერით, ფურის წველადობა — დღეში 2 კილოგრამით.

რაიონში წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება.

ტომსკის ოლქში საქართველოს სსრ კულტურის დღეების ექო

ორმხრივი სიმპათიის სულისკვეთებით

როგორც ცნობილია, გასული წლის 16-20 დეკემბერს ტომსკის ოლქში გაიმართა „საქართველოს სსრ კულტურის დღეები, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობა, საუკუნეთა სიღრმეში რომ იღებს სათავეს.

შემოქმედებითმა კოლექტივებმა, მომღერლებმა, მუსიკოსებმა, მოცეკვავეებმა, პოეტებმა, მწერლებმა, თეატრისა და კინოს მსახიობებმა, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ნორჩმა წევრებმა მრავალი კონცერტი გამართეს კულტურის სასახლეებსა და კლუბებში, ქალაქებისა და სოფლების შრომითს კოლექტივებში, მენავთობეთა და გეოლოგთა სავახტო დასახლებებში. დაახლოებით 40 ათასი ტომსკელი გაეცნო და შეხვდა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატებს, მეცნიერების მოღვაწეებს.

ამ დღეებში რესპუბლიკის ხელმძღვანელების მისამართით მოვიდა წერილი სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტიდან. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ კულტურის დღეები ტომსკის ოლქში იყო არა მარტო მნიშვნელოვანი კულტურული, არამედ პოლიტიკური მოვლენა, საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური და პატრიოტული თვისებების მკაფიო გამოვლინება. შეხვედრებმა სიხარული მიჰგვარა ადამიანებს, დატოვა ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებები და აღფრთოვანებული გამოხმაურებები გამოიწვია.

საქართველოს წარმომადგენლებმა, ნათქვამია წერილში, „უხვად გაგვიზიარეს ნიჭი, შესაძლებლობა მოგვცეს უფრო ახლოს გავცნობოდით იმათ, ვინც შეადგენს არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა ხელოვნების დიდებას. ყოველი კოლექტივი, შემსრულებელი გამოირჩეოდა თავისი განუმეორებლობით, სრულყოფისადმი სწრაფვით, ნაყოფიერი, დიდად საინტერესო იყო სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ა. ამონაშვილის გამოსვლები. საქართველოს დელეგაციის შეხვედრები, საუბრები მუშებთან, სპეციალისტებთან, მეცნიერების, კულტურის წარმომადგენლებთან მიმდინარეობდა ორმხრივი სიმპათიის სულისკვეთებით, ხელს უწყობდა ძმური მეგობრობის განმტკიცებას. ვიმედოვნებთ, რომ კულტურის დღეების დროს დამყარებული თანამშრომლობა გაგრძელდება და განვითარდება".

წერილში გამოთქმულია მადლობა იმათდამი, ვინც მონაწილეობდა ტომსკში საქართველოს სსრ კულტურის დღეებში.

მიმდინარე წლის მაისში დასახულია გაიმართოს ტომსკის ოლქის საპასუხო დღეები საქართველოს სს რესპუბლიკაში.

(საქინფორმი).

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რეფორმა

დანახარჯებს გულდასმით ანგარიშობენ

რუსთავის ცემენტის ქარხანა მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე — თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადავიდა. ამიერიდან მოგების დიდი ნაწილი საწარმოს დარჩება და მოხმარდება მის განვითარებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, სოციალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესებას, მატერიალური სტიმულირების ფონდების შექმნას. მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს საწარმოს ხელმძღვანელობას, მის სამსახურებს, კოლექტივის თითოეულ წევრს.

როგორ მოემზადნენ მეცემენტეები მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის, ახლებურ პირობებში მუშაობისათვის? პრაქტიკულად მთელი მუშაობა საწარმოში ამ საკითხს დაექვემდებარა. ქარხანაში ღრმად გააანალიზეს სამეურნეო საქმიანობა და სათანადო დასკვნებიც გამოიტანეს.

კოლექტივში, თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, საგრძნობლად იზრდება ინტერესი მუშაობის ფინანსურ-ეკონომიკური შედეგებისადმი. უკვე ნამდვილად იწყებენ დანახარჯებისა და შედეგების თვლას.

ამის დასტურია ამ ქარხნის საქმიანობაც. ამ მიზანს ემსახურება აქ სპეციალური კომისია. თუ წინა წლებში კომისიის სხდომაზე კვარტალში ერთხელ განიხილებოდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგები, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ეს პერიოდულობა შემცირდა. პრაქტიკაში დამკვიდრდა წარმოების ყველა რგოლის სამეურნეო საქმიანობის შესწავლა.

აღნიშნული კომისია კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, მისი მეთოდები და გამოცდილება ფართო ვანზოგადებას იმსახურებს.

მაგალითად, კომისიის ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან ვეცნობით, რომ ამ სხდომაზე განიხილეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით გაწეული მუშაობის შედეგები, პრინციპული შეფასება მიეცა ცალკეულ საამქროთა საქმიანობას ამ მიმართულებით. ამ საამქროთა ხელმძღვანელებს მკაცრად მოეთხოვათ. დაისახა ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადების ძირითადი მიმართულებაა აღრიცხვისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების ნორმატიული მეთოდების დანერგვა. ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ ქარხნის ყველა საამქროს, ყველა რგოლის მუშაკები დაეუფლონ წარმოების ეკონომიკის მართვას. განხორციელდა თვითდაფინანსებაზე გადასვლის ერთ-ერთი საჭირო ღონისძიება: დღეისათვის ქარხანაში მომუშავეთა 78 პროცენტი ბრიგადული მეთოდით, ხოლო მისი 46 პროცენტი სამეურნეო ანგარიშით შრომობს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკის მრეწველობაში. განსაკუთრებული ზრუნვის საგანია წარმოების კონკრეტულ უბნებზე მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგია ის, რომ პროდუქციის თვითღირებულება გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტად შემცირდა, დაიზოგა ასი ათასობით მანეთი, მიღებულია სოლიდური მოგება.

განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ ნაწილია ამ საწარმოს სრულ სამეურნეოანგარიშიანობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის სპეციალური გეგმისა, რომლის შესრულებას სისტემატურ კონტროლს უწევდა და უწევს სპეციალური კომისია. განხორციელდა კომისიის მიერ დასახული ღონისძიება და უთუო შედეგითაც.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღრიცხვისა და კალკულირების ნორმატიული მეთოდის ეფექტიანი გამოყენების სამუშაოთა დაჩქარებით შესრულებას. ამ მოთხოვნათა შესაბამისად საწარმოს დირექტორის ოპერატიულ თათბირებზე დეკადების მიხედვით განიხილება როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი თვითღირებულების შემცირების დავალების შესრულების მიმდინარეობის შედეგები. სწორედ ამით გამოიხატება მთელი შინაარსი — ვეცნობდეთ მთლიანი სამეურნეოანგარიშიანობის პრინციპებს.

პრაქტიკულად ხორციელდება ღონისძიებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების ნორმის დონემდე შესამცირებლად. ამ სამუშაოთა შესრულებისადმი კონტროლი დავალებული აქვთ პასუხისმგებელ მუშაკებს. შარშან ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის პირველი შედეგები სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის კომისიამ უკვე განიხილა, და აღინიშნა, რომ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სამეურნეო წლის მარტო პირველ ნახევარში 241 ათასი მანეთით შემცირდა ზენორმატიულ სასაქონლო ფასეულობათა ნაშთები. მეორე ნახევრის დამლევს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუმჯობესდა.

მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ხელფასის გადახდის ახალი სისტემის დანერგვას. ეს სიახლე საწარმოში უკვე პირველი ნოემბრიდან განხორციელდა. მიმდინარეობს მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის ხელფასის მომატება ხელფასის ფონდის გაუზრდელად.

ხელფასის გადახდის ახალი სისტემის პირობებში მისი ფონდი არ გაუსწრებს შრომის ნაყოფიერებას, პირიქით, შრომის ნაყოფიერება 3 პუნქტით მეტი იქნება ხელფასის ფონდზე.

ხელფასის გადახდის ახალი სისტემა მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე, თვითანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია.

ქარხანაში გულდასმით ანგარიშობენ აგრეთვე მოგებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს. ამ მოთხოვნების შესაბამისად წარმოების განვითარების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მატერიალური წახალისების, საბინაო მშენებლობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ფონდებისა და მთლიანად მოგების განაწილება ემყარება დარგის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნორმატივებს. საწარმოში განხორციელდა ამ ფონდების შექმნის პირველი მონახაზები, იგი საბოლოოდ დამუშავდა გასული წლის მეოთხე კვარტლის დასაწყისში, ზემდგომი ორგანოების მიერ დაზუსტებული ნორმატივების საფუძველზე.

მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადებას მთლიანად დაექვემდებარა ეკონომიკური სწავლება. სპეციალურმა ჯგუფმა, რომელშიც 39 კაცია, გაიარა სამთვიანი კურსები. მეცადინეობებზე შესწავლილია სამეურნეოანგარიშიანობის საკვანძო საკითხები, მათ შორის „ფინანსური რეზერვების შექმნის და გამოყენების წესი მთლიანი სამეურნეოანგარიშიანობისა და თვითღირებულების პირობებში", „კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და დაფინანსება მთლიანი სამეურნეოანგარიშიანობის პირობებში", „ხელფასის ფონდის შექმნა" და სხვა საკითხები, რომელთა შესწავლა და ცოდნა საწარმოს მუშაკებს დაეხმარება ეკონომიკის მართვაში.

ამავე მიზანს ემსახურება თვალსაჩინო აგიტაცია. ცენტრალურ შესასვლელში, მოხერხებულ ადგილზე გაკეთებული წარწერა საწარმოს მშრომელებს აცნობს, რომ ქარხანა ახალი წლიდან გადავიდა მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე, და მოუწოდებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქმიანობაში. აქვე მოთავსებულია ყუთი მშრომელთა მოსაზრებებისა და წინადადებებისათვის.

სპეციალური მიმართვა მეცემენტეებს მოუწოდებს დაზოგონ ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია, გამოძებნონ და აამოქმედონ წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების რეზერვები, განამტკიცონ დისციპლინა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების მართვაში.

მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლა, ახალ პირობებში მუშაობა მარტო მეცემენტეთა კოლექტივის სათანადო მომზადებას როდი ითვალისწინებს. საჭიროა აგრეთვე საწარმოსადმი მეტი პრაქტიკული დახმარების გაწევა ნედლეულითა და მასალებით მომარაგების, ტრანსპორტით შეუფერხებელი მომსახურებისა და საწარმოს რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

თ. სიყმაშვილი.

დემოკრატიზაციას შედეგი უნდა მოჰყვეს

იჯარულ შრომაზე გადასვლის პირველსავე წელს ჩვენი მეციტრუსეთა რგოლის თითოეულმა წევრმა წლის მანძილზე 3.634 მანეთის პროდუქცია ვაწარმოეთ, საშუალო წლიურმა ხელფასმა კი 2.632 მანეთი შეადგინა. სულ ორი წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ ეს მაჩვენებლები შესაბამისად 27.754 და 5.028 მანეთამდე გაგვეზარდა.

დღეს, როდესაც ქვეყანა გარდაქმნის მეორე ეტაპზეა, ყველაფერი დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის ინიციატივასა და მონდომებაზე. ამიტომ მთავარია ისე მოვაწყოთ შრომის ორგანიზაცია, რომ საბოლოო შედეგის მიღწევისათვის ძალ-ღონეს არ ვიშურებდეთ, მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ ვახერხებთ. შარშან ჩვენი რგოლის თითოეულმა წევრმა მთლიანად შეასრულა საბჭოთა მეურნეობის დირექციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სამუშაო, მაგრამ უამინდობის გამო სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, ვერც გაწეული შრომის შესაბამისი ანაზღაურება მივიღეთ.

წლეულს მეურნეობის დირექციასთან ახალი ხელშეკრულება გავაფორმეთ, გამორიცხული არ არის, რომ ჩვენმა ბაღებმა წლეულს ერთიორად აანაზღაურონ შარშანდელი დანაკლისი, მაგრამ შარშანდელი შრომის საზღაურის დანაკლისს არავინ გადაგვიხდის.

არც ის ვარგა, რომ ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გეგმა რაღაც მტკიცე და მეცნიერულად გაანგარიშებული დონის საფუძველზე კი არა, ცალკეული პირების და ისიც ზემოდან ნაკარნახევი ციფრების საფუძველზე დგება.

მეციტრუსეობაში იჯარული შრომის დანერგვისათვის აუცილებლად მიმაჩნია: იჯარული წესით მომუშავე ქვედანაყოფებთან ხელშეკრულება იდებოდეს არა ერთი წლით, არამედ ხანგრძლივი ვადით, ამინდის ჭირვეულობის შედეგად მოსავლის შემცირების შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს სადაზღვევო ორგანოების მიერ ზარალის ანაზღაურება და დაზღვევიდან მიღებული თანხებიც გაიცეს შრომის საფასურად; ხელფასი განისაზღვროს არა გეგმის შესრულების, არამედ საერთო შემოსავლის შესაბამისად.

ვფიქრობ, დემოკრატიზაციას საქმე უნდა მოჰყვეს. თითოეული ჩვენი სიტყვა, ჩვენ მიერ დაყენებული საკითხი სათანადო ორგანოებმა დროზე უნდა შეისწავლონ, საჭირო დასკვნები გამოიტანონ და თუ ვცდებით, დაგვარწმუნონ, რომ ეს ასეა, ხოლო თუ სწორად ვაყენებთ საკითხს, დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებები მისი მოგვარებისათვის.

ნანული ფუტკარაძე,
მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეთა რგოლის ხელმძღვანელი.
ქობულეთის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლის გაკვეთილებიდან — რეალური საქმეებისაკენ

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

პლენუმამდე დიდი ხნით ადრე არსებითად უკვე მიეცა შეფასება გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მუშაობას. იგი შეაჯამა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, რომელმაც შეაფასა საქალაქო კომიტეტის საქმიანობა ყველა სფეროში — ორგანიზატორულ, იდეოლოგიურ, სამეურნეო სფეროებში. საქალაქო კომიტეტის წევრთა და წევრობის კანდიდატთა დიდმა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ იგი არ არის ეფექტიანი, ისევე როგორც, სხვათა შორის, აშკარად არასაკმარისად ცნო თავისი პირადი წვლილიც გარდაქმნის საქმეში.

მაგრამ, ერთია, პატიოსნად გამოთქვა შენი აზრი ანონიმურ ანკეტაში, მეორეა, თამამად გაიმეორო იგი პლენუმის საპატიო ტრიბუნიდან. პრაქტიკულად ყველა ორატორმა, ისინი კი უჩვეულოდ მრავლად იყვნენ — 32, მუშები და პარტიული მუშაკები, მეცნიერი და სტუდენტი, პოეტი და წარმოების მეთაური, ჟურნალისტი და სამხედრო მოსამსახურე — მწვავედ და პრინციპულად აყენებდა პრობლემებს, პიროვნების მიუხედავად სერიოზულ პრეტენზიებს უყენებდა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მათს მუშაობაში შეცდომებისა და ხარვეზებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე „მტკივნეულ" საკითხებს. სხვანაირად დღეს არც შეიძლება იყოს. თუ გიკავია აქტიური პოზიცია — არის წინსვლა, თუ ხარ ინერტული, გაუბედავი — საქმე ფერხდება. პლენუმის მონაწილეებს ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი, ღრმად დასაფიქრებელი. კომუნისტთა კრებებსა და პარტიის რაიკომების პლენუმებზე, მშრომელთა წერილებში ხომ გაისმოდა პირუთვნელი კრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტის, მისი ბიუროსადმი, იყო წუხილი გარდაქმნის ბედისათვის, დემოკრატიზაციის პროცესების განვითარებისათვის.

გარდაქმნა და მოჩვენებითობა შეუთავსებელია

პლენუმზე გამოსვლაში პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. ალავიძემ** მოკლედ ჩამოაყალიბა ბიუროს ანგარიშის ძირითადი დებულებანი, რომელიც მთლიანად გამოქვეყნდა საქალაქო გაზეთებში. აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიულ კომიტეტებში იგრძნობა მისწრაფება ახლისადმი, მკვიდრდება ძიების ატმოსფერო, მაგრამ ამავე დროს გარდაქმნა არსებითად ჯერ კიდევ არ შეხებია მუშაობის მრავალ მიმართულებას.

— ვუპასუხებთ რა გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ კითხვას — შევძელით თუ არა ყველაფერი გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ მოგვემზადებინა ეკონომიკა მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მოქმედების დაწყებისათვის, უნდა ვაღიაროთ, — თქვა მან, — რომ განხორციელებულ ღონისძიებებს სასურველი შედეგები არ მოუცია. ეს გამოვლინდა, უწინარეს ყოვლისა, გეგმების შეუსრულებლობით სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა მშენებლობა და ვაჭრობა, მიწოდებითი დისციპლინის განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა ნაკლები შედეგიანობით, იმით, რომ რვა პროცენტით და მეტად შემცირდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის საქონლის გამოშვება.

პასუხისმგებლობას შექმნილი ვითარებისათვის საქალაქო კომიტეტის ბიუროსთან ერთად, სრულად ვიზიარებ მე, როგორც პირველი მდივანი, აგრეთვე იზიარებენ საქალაქო კომიტეტის მდივნები პ. პ. ჩხეიძე, ა. ი. პავშენცევი, ნ. ი. ლალიძე. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილებების, რაიკომების, პირველადი პარტორგანიზაციების ძალისხმევა წარგვემართა მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად, ყოველთვის ვერ ვიჩენდით ჯეროვან პასუხისმგებლობას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პირადი წვლილის შეფასებაში. ეს კი საქალაქო კომიტეტის ბიუროს თითოეული წევრისაგან მოითხოვს ერთხელ კიდევ გავიაზროთ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი მთელი წრის პრობლემების მიხედვით ნაკლოვანებათა დაძლევის კონკრეტული გზები.

ნაკლოვანებათა შესახებ კი პლენუმზე გაიმართა გულახდილი სჯა-ბაასი, რადგან, როგორც ერთსულოვნად აღნიშნავდნენ ტრიბუნიდან, ყოველდღიურად ვაწყდებით არაორგანიზებულობის, უდისციპლინობის, ქედმაღლობის, უსულგულობის, ზოგჯერ კი დანაშაულებრივი დაუდევრობის შეუწყნარებელ ფაქტებს. ამის შედეგად კი სხვადასხვა ინსტანციაში, გაზეთების რედაქციებში დასტებად იგზავნება იმის მსგავსი წერილები, რომელიც პლენუმის ტრიბუნიდან წაიკითხა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორმა **ვ. გ. ანასტასიადიმ**: „საათი 6 საათსა და 30 წუთს უჩვენებს, დროა მოვემზადო სამუშაოზე წასასვლელად, არ არის სინათლე, არც გათბობა. როგორ ვასაუზმოთ ბავშვები, როგორ გავისტუმროთ სკოლაში?.." მუხიანის მცხოვრებთა ეს გულისწყრომა გასაგებია გლდანის, ვაზისუბნის, ვარკეთილის, ქალაქის სხვა საცხოვრებელი მიკრორაიონების ახალმოსახლეებისათვის. მართლაც, როდემდე შეიძლება ითმინონ ვარკეთილი — 3 მიკრორაიონის მცხოვრებლებმა; აქ კი 50 ათასი კაცი ცხოვრობს, რომლებიც უკვე მესამე წელია ვერა და ვერ ეღირსნენ პოლიკლინიკის აშენებას.

ქაღალდზე შეთხზული გეგმებისა და დაპირებების ნიაღვარზე, აღნიშნა პლენუმმა, ჯერ კიდევ არ მოჰყოლია რეალური საქმეები, მკაცრი კონტროლი. სხვანაირად როგორ შეგვიძლია ავხსნათ, რომ თბილისის მე-40 პარტიული კონფერენციიდან განვლილი ორი წლის მანძილზე ქალაქის ეკონომიკაში არ მომხდარა რამდენადმე შესამჩნევი ძვრები, ცალკეულ დარგებში კი მდგომარეობა გაუარესდა კიდეც. ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის მოცულობით თბილისს ქვეყნის დედაქალაქებს შორის მხოლოდ მეათე ადგილი მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის. და ისევე როგორც წინათ, სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს სოციალური სფეროს განვითარებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრაქტიკულად არ სრულდება „1986—1990 წლებში ქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. არ ითვისებენ დიდ ასიგნებებს, რომლებიც რესპუბლიკას თხოვნით საკავშირო მთავრობამ გამოყო საქართველოს დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. უფრო მეტიც, ჩაფუშულია ბინებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მწყობრში ჩაყენების შარშანდელი წლის გეგმა. მდგომარეობა მეტად შემაშფოთებელია: სხვაობამ ბინების მწყობრში ჩაყენების მხრივ 150 ათას კვადრატულ მეტრს მიაღწია, ეს კი საფრთხეს უქმნის პარტიის უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამის რეალიზაციას — 2000 წლისათვის ცალკე ბინით უზრუნველვყოთ თითოეული ოჯახი. არადა, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე ხომ საშენებლო კომპლექსის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები 20-ჯერ და მეტად განიხილეს. მათ სპეციალური პლენუმიც კი მიეძღვნა. მრავლდებოდა გადაწყვეტილებანი, ხელმძღვანელებს სჯიდნენ და ცვლიდნენ, მაგრამ უკეთესობისაკენ ცვლილებებს ვერ მივაღწიეთ.

— მშენებლობის ბედი ხშირად დამოკიდებულია იმაზე, რა რანგის პარტიული ხელმძღვანელი კურატორობს მას, — გაუზიარა თავისი ფიქრები პლენუმის მონაწილეებს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის პარტკომის მდივანმა **ვ. ე. ვახრამიშვილმა**. როგორც წესი, რაც უფრო დიდია უფლებამოსილება, მით უფრო სწრაფია მშენებლობის ტემპი, თუმცა საიდუმლო არ არის, რომ საკურორტო ობიექტებში რესურსების კონცენტრაცია სხვა მშენებლობების ხარჯზე ხდება. პარტიის საქალაქო კომიტეტის დარგობრივი მდივნისათვის თხოვნით მიმართვა, რომ იშოვოს სილა, ცემენტი ან სადურგლო მასალა, ჩვეულებრივ საქმედ იქცა. მაგრამ პარტიული ხელმძღვანელობა ხომ არ უნდა ამოიწურებოდეს წვრილმანი მეურვეობით, არ უნდა უნერგავდეს ადამიანებს სხვისი მოიმედეობის გრძნობას. საქალაქო კომიტეტის ბიუროს უხეირო მეურნეებისადმი პარტიული ზემოქმედების ფორმების მდიდარი არსენალი აქვს და იგი უნდა გამოიყენებოდეს სრულად, ამასთან ძირითადი ყურადღება ეთმობოდეს ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემებს.

გამოავლინეს რა პარტიული ხელმძღვანელობის ნაკლი, ორატორებმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს როგორც მთლიანად საქალაქო კომიტეტის ბიუროს, ისე პერსონალურად თითოეული მისი წევრის საქმიანობას მათი საკურორტო სფეროს ფარგლებში. მწვავე კრიტიკული გამოსვლები უწინარესად შეეხო საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მუშაობის სტილსა და მეთოდებში არსებულ ნაკლოვანებებს. აღინიშნა, მაგალითად, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად ნაჩქარევია, არ არის ბოლომდე გააზრებული და, რაც მთავარია, ყოველთვის არ ითვალისწინებს ბიუროს და საქალაქო კომიტეტის წევრთა აზრს.

ასე მოხდა, როცა ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე მოუფიქრებლად გარიცხეს პარტიიდან ქალაქის ერთ-ერთი რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილების ორი ხელმძღვანელი. და თუმცა ამ სხდომის მონაწილეებს საფუძვლიანი ეჭვი შეექმნათ ასეთი გადაწყვეტილების მართლზომიერებაში, მაგრამ პირველმა მდივანმა თავისი გაიტანა. თუმცა, სამართლიანობამ, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომისიამ გააუქმა არამართლზომიერი გადაწყვეტილება, კომუნისტებს აღუდგინეს მათი უფლებები.

ეს ერთეული მაგალითი არ არის. ასე იყო კულტურულ-გასართობი ცენტრის „ბერიკონის" ხელმძღვანელებთან დაკავშირებულ შემთხვევაშიც, როცა ბიუროს წევრები დათანხმდნენ წინადადებას პარტიული წესით დაესაჯათ სამი მუშაკი. განხილვა, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, თითქოს, დამთავრდა. მაგრამ შედეგების შეჯამებისას პირველმა მდივანმა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ ამკაცრებს სასჯელს. „ბერიკონის" მუშაკები გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ამასთან მკაცრად დასაჯეს სხვადასხვა რანგის, მათ შორის რაიკომის, რაიაღმასკომის და საქალაქო აღმასკომის კიდევ შვიდი ხელმძღვანელი.

მოგვიწია ერთხელ კიდევ დავბრუნებოდით ამ საკითხს. უკვე ერთი კვირის შემდეგ ბიუროს ნაჩქარევი გადაწყვეტილება შეიცვალა. მაგრამ ვინ აანაზღაურებს ნებელობითი ზემოქმედებით მიყენებულ მორალურ ზიანს? სრულიად შეუწყნარებელია ავტორიტარობა და სუბიექტივიზმი, როცა ადამიანთა ბედი წყდება. ასეთი იყო პლენუმზე გამოტანილი ერთ-ერთი მთავარი დასკვნა.

ხელმძღვანელობის ნეგატიური სტილი, როგორც თვითკრიტიკულად აღიარა პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ **ა. გ. ჯანელიძემ**, ლახავს არა მარტო პირველი მდივნის, არამედ მთელი არჩევითი ორგანოს, პარტიის საქალაქო კომიტეტის ავტორიტეტს.

— ჩვენთან ბიუროში, — თქვა მან, — გარდაქმნა მეტად ძნელად მიმდინარეობს. ქალაქში, რა თქმა უნდა, ხდება პოზიტიური ძვრები, მაგრამ ჩვენი გავლენა მათზე ნაკლებად იგრძნობა. მხედველობიდან გვრჩება მთავარი საკითხები, ვერ ვმუშაობთ პარტიის რაიკომებთან. ბევრი ჩვენი გადაწყვეტილება მოჩვენებითობისათვის არის ნავარაუდევი. გარდაქმნა და მოჩვენებითობა კი შეუთავსებელია. ერთს ვამბობთ, და სხვას კი ვაკეთებთ. პირველ მდივანთან, როგორც წესი, მრავალსაათიანი განხილვის შემდეგ, ძნელი გასაგებია, რაზე იყო ლაპარაკი, რა დასკვნა გამოვიტანეთ. ზოგჯერ ეს სჯა-ბაასი ერთ მიზანს ისახავს: თავს მოახვიოს თავისი აზრი გარშემომყოფთ, მიჩქმალოს სუბიექტივიზმი და პროტექციონიზმი. მუშაკების სასურველებად და არასასურველებად დაყოფა, შერჩევითი პრინციპულობა დამახასიათებელია ამხ. ალავიძის მუშაობის სტილისათვის. დარწმუნებული ვარ: მას უკვე აღარ შეუძლია გარდაიქმნას, ისევე, როგორც არ შეუძლია წარმართოს ბიუროს საქმიანობა გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის.

— განა ნორმალურად ჩაითვლება, რომ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შემრიგებლურ პოზიციას ადგას იმ სამინისტროებისა და უწყებების მიმართ, რომლებიც უგულებელყოფენ რესპუბლიკის დედაქალაქის ინტერესებს? — დასვა კითხვა პარტიის საქარხნო რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. შ. შოშიტაიშვილმა**. და თავადვე უპასუხა: — როგორც ჩანს, დაკარგა ყოფილი ავტორიტეტი.

როგორია გამოიყურება მოჩვენებითობა პრაქტიკულად? პარტიის გლდანის რაიკომის პირველი მდივნის **ა. თ. გოცირიძის** გამოსვლაში მოყვანილი იყო ასეთი მაგალითი. პარტიის საქალაქო კომიტეტის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით ტელევიზიითაც კი იყო გამოცხადებული, რომ გლდანულას მიკრორაიონის ყოველი ახალმოსახლე ტელეფონს მიიღებდა, რომ აქ იქნებოდა შესანიშნავი გზები და ეტალონური კეთილმოწყობა. მაგრამ ტელეფონები არ არის, სურვილს — რაც შეიძლება მალე ეპატაკებინათ, ის მოჰყვა, რომ ნაუცბადევად აშენებული გზები უკვე გაფუჭდა. რა თქმა უნდა, დამნაშავეა რაიკომიც, რომელსაც არ ეყო გაბედულება აღეკვეთა ეს ტყუილი.

— შეიძლება დაგვებადოს კითხვა, — თქვა პარტიის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ბ. ბონდარენკომ**, — რატომ არ ვიჩენთ ინიციატივას და არ ვაგებინებთ საქალაქო კომიტეტს ჩვენს პრობლემებს. გულახდილად ვაღიარებ: არ ვგრძნობ აქ შესაფერის ატმოსფეროს.

ეს აზრი განავითარა პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. მ. ლეკიშვილმაც**. ამ პარტიულ კომიტეტში მიმდინარეობს ექსპერიმენტი. მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტს, მის პირველ მდივანს მისდამი არავითარი ინტერესი არ გამოუჩენიათ.

და ყოვლად შეუწყნარებელია, როცა ეკონომიკის, კადრების გადაადგილების საკვანძო საკითხებს საქალაქო კომიტეტი პარტიის რაიონული კომიტეტის გვერდის ავლით წყვეტს.

— ხშირად უკანასკნელი ვიგებთ ხოლმე, თუ რა დავალებებს აძლევს საქალაქო კომიტეტი ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ვინ გაათავისუფლეს ან ვინ დანიშნეს, — თქვა პარტიის 26 კომისრის რაიკომის პირველმა მდივანმა **ჯ. ა. ბერიძემ**.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის სტილი მარტო პირველი მდივნის კი არა, მთელი ბიუროს მუშაობის სტილია. როგორც პარტიის საბურთალოს რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. ი. ხუციშვილმა** აღნიშნა, ბიუროს წევრებს აკლიათ გაბედულება პრინციპულად დაიცვან თავიანთი პოზიცია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკადრო საკითხების გადაწყვეტაში.

— ეს არის ბოროტების სათავე, — ხაზგასმით აღინიშნა თავის გამოსვლაში პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. დ. ბოჭგუამ**. — კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში სერიოზული ხარვეზები და შეცდომები გვაქვს. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბევრი გადაწყვეტილება მხოლოდ აფორიაქებდა კადრებს, მაგრამ პრობლემებს არ ხსნიდა, აღიარა პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ი. აზიროვმა**. ბიუროს ყველა სხდომა როდი იყო კოლეგიური მუშაობის მაგალითი. იყო დაძაბულობა, ემოციები, ნაჩქარევი გადაწყვეტილებები, მათ შორის საკადრო და პერსონალურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების ფაქტები.

„საქალაქო კომიტეტში გამართულ სხდომებსა და თათბირებზე იყო ბევრი ლაპარაკი და ცოტა საქმე", — ასეთია პლენუმზე გამოსული რაიონული რგოლის ყველა პარტიული ხელმძღვანელის აზრი. „ამ თათბირებზე თავს სტატისტად ვგრძნობდი", — აღიარა ერთმა მათგანმა. მეორემ დასძინა: „პოლიტიკური პოზიციის ამორფულობა პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის სტილის ერთ-ერთი კომპონენტი გახდა". მესამემ თქვა, რომ მტკიცედ უნდა ავიღოთ ხელი მრავალსაათიან სხდომებზე, მით უმეტეს, რომ, როგორც შემდგომმა ორატორმა აღნიშნა, ასეთ სხდომებზე სუფევს ნერვულობის ატმოსფერო, ინერგება მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სტილი.

— დროა მბრძანებლური სიტყვა „საჭიროა" განმტკიცდეს ამხანაგური რჩევით „როგორ", — თქვა პარტიის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. გ. ლორთქიფანიძემ**. — დროა ბოლო მივუღოთ დემაგოგიას, დროა მუშაობის სტილის გაუმჯობესების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ ლაპარაკი განვამტკიცოთ კონკრეტული საქმეებით, კონკრეტული დახმარებით.

აქ უნდა გამოვთქვათ შენიშვნა, რომელიც გვიკარნახა პლენუმის კულუარებში გამართულმა საუბრებმა. რა თქმა უნდა, კარგია, როცა რაიონული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები გულახდილად აკრიტიკებენ ზემდგომ პარტიულ ორგანოს, მის ბიუროს, პერსონალურად პირველ მდივანს ქალაქში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის. მაგრამ ამ კრიტიკის მიღმა არ იგრძნობოდა რაიკომების პირველი მდივნების პირადი პასუხისმგებლობა მშობლიური ქალაქის საქმეებისა და საზრუნავისათვის, იმავე ნაკლოვანებებისათვის, იმავე სოციალური მოუწყობლობისათვის. ეს ხომ ხდებოდა დედაქალაქის ტერიტორიაზე, რომლის თითოეული რაიონი დიდი საქალაქო ორგანიზმის ნაწილია. და, სამწუხაროდ, ასევე ხშირად ამავე სენით არის დაავადებული.

— ამ სნეულებათა შორის არის ისეთი საშიში მოვლენაც, როგორიცაა მექრთამეობა. „ბევრ რამეს ვაკეთებთ ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებათა ამოძირკვისათვის, — აღნიშნა გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. ი. კიკნაძემ**. — მაგრამ ხალხში ჯერ კიდევ ამბობენ, და, სამწუხაროდ, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ამა თუ იმ საკითხის კანონიერი მოწესრიგებისათვის რაიაღმასკომების ზოგიერთი მუშაკი გასაკითხის აღებასაც კადრულობს".

ამ და სხვა არსებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, რომლებზეც პლენუმზე იყო ლაპარაკი, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ გარდაქმნა მოითხოვს ადგილებზე შეიქმნას კონტროლის ისეთი ეფექტიანი სისტემები, რომლებიც მოიცავდა უკლებლივ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარეს, აღნიშნა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. დ. ავალიანმა**.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა **რ. ლ. გვენცაძემ** უფრო კატეგორიულად გამოთქვა აზრი: ნაკლები თათბირები და მეტი საქმე. დადგა დრო, თქვა მან, პირდაპირ მივუთითოთ ერთმანეთს ნაკლოვანებებზე, რომლებიც სერიოზულად აფერხებს ჩვენს წინსვლას, ხელს უშლის დასახული ამოცანების ხარისხიან განხორციელებას.

— საკუთარი თავისა და სხვების კრიტიკა კი ვისწავლეთ, — თქვა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ი. ო. ანდრიაძემ**, — მაგრამ, კრიტიკას რომ ვეთანხმებით, ჯერ ვისწავლეთ ჯერჯერობით სათანადოდ გამოვასწოროთ საქმე, გამოვიყენოთ კრიტიკა როგორც გარდაქმნის შემაფერხებელი ფაქტორების თავიდან აცილების საიმედო ინსტრუმენტი.

არ შეიძლება ხელმძღვანელობა ზოგადად და საერთოდ, ზედაპირზე სრიალი, ძველი ბაგაჟით ცხოვრება, თუმცა კი შევითვისეთ გარდაქმნის ლექსიკონი, არ კმარა შემოვიფარგლოთ კრიტიკით, ხმა ავიმაღლოთ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. უნდა გავაშუქოთ, თუ რატომ არსებობენ ისინი, აქტიურად ვეძებოთ საქმის გაუმჯობესების გზები, წამოვაყენოთ ნოვატორული იდეები. შემთხვევითი როდია, რომ პლენუმზე ხაზი გაუსვეს აზრს იმის შესახებ, რომ საქალაქო კომიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება პირველადი პარტორგანიზაციების დასაყრდენი, როცა ხელს აიღებს დაუსრულებელ სხდომებზე, ქაღალდთმთხზველობაზე, როცა მისი თანამშრომლები უფრო ხშირად იქნებიან შრომითს კოლექტივებში, გულთან ახლოს მიიტანენ ადამიანის საზრუნავსა და საჭიროებებს. ეს თქვეს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟემ **ა. ტ. კარპუხოვამ**, „თბილსგვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბგამყვანმა **ი. გ. ნადირაძემ**, საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზრის კონტროლიორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა **გ. რ. გაგოშიძემ** და სხვებმა.

აღიძრა საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც ყველასა და თითოეულს აწუხებს. გულგრილი არავინ დაუტოვებია ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილის **ი. გ. მელქაძის** მიერ მოყვანილი ფაქტებს. ახლახან გარდაბნის რაიონში მომხდარმა მატარებლების მარცხმა გამოავლინა არსებითი ნაკლოვანებანი მაგისტრალის მუშაობაში. არადა, ისინი ხომ არაერთი წელია გროვდებოდა. ეს განსაკუთრებით ჩანს რკინიგზის თბილისის განყოფილების მაგალითით. მაგრამ რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტები მხოლოდ მაშინ ტეხდნენ ხოლმე განგაშს, როცა ვაგონები იყო გადმოსატვირთავი.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს: პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო სათანადო ყურადღებას არ უთმობს იმას, რომ შესრულდეს გარდაქმნის ფუძემდებელი პრინციპი — კონკრეტულ, საგრძნობ შედეგად იქცეს საკუთარი გადაწყვეტილებები. დასახული ღონისძიებანი ყოველთვის არ იყო განმტკიცებული ყოველდღიურ, მიზანდასახული მუშაობით პარტიის რაიკომების, რაიაღმასკომების დასარაზმავად, რათა მათ გამოევლინათ და, რაც მთავარია, დროულად აღმოეფხვრათ „ვიწრო" ადგილები, აქტიურად გამოეყენებინათ ამაში ხელმძღვანელობის პარტიულ-პოლიტიკური მეთოდები.

ზოგი ხელმძღვანელი ხალხს ბევრ რამეს ჰპირდება, მაგრამ თავის სიტყვებს საქმით არ განამტკიცებს. არ იგრძნობა გარდატეხა მოსახლეობის სავაჭრო, სატრანსპორტო, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, არ არის ძვრები ჯანმრთელობის დაცვასა და სახალხო განათლებაში. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა **მ. მ. ხანანაშვილმა** სამართლიანად შენიშნა: „სოციალურ პრობლემათა შორის ჯანმრთელობის დაცვა ერთ-ერთი მთავარია. ადამიანს სჭირდება ბინაც, კარგი საჭმელიც, მაგრამ მეტად საჭიროა, რომ ახალ ბინაში ჰქონდეს კარგი ჯანმრთელობა, რომ სამედიცინო დახმარება იყოს არა მარტო უფასო, არამედ ეფექტიანიც. იმის მიხედვითაც კი, თუ რა ადგილი უკავია პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ანგარიშში მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, ვთქვათ, მშენებლობასთან შედარებით, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სოციალურ პრობლემებს საკმარისი ყურადღება არ ეთმობა".

ეს აზრი ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" მუშამ **რ. ა. სიფრაშვილმა** დაადასტურა მაგალითით. მას ავად გაუხდა ბავშვი, გამოიძახა სასწრაფო დახმარება, მაგრამ მის მოსვლას საშველი არ დაადგა. ბოლოს იძულებული გახდა თვითონ წასულიყო ექიმის მოსაყვანად.

— მიმაჩნია, — თქვა მან, — რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდოს ხელი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, ამოძირკვოს სამედიცინო გარემოში მოვლენები, რომლებიც ვნებას აყენებს ექიმის პრესტიჟსაც და მოსახლეობასაც.

ორატორებმა მწვავედ დააყენეს სხვა საკითხებიც. როდემდე მიიჩნევენ ქალაქის სამრეწველო საწარმოები მეორეხარისხოვან საქმედ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას? რატომ არის, რომ მაღაზიებიდან ერთბაშად ქრება პირველი საჭიროების საგნები? როდის იქნება, ბოლოს და ბოლოს, რომ ქალაქში სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს შინაარსიანი დასვენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების პრობლემას? ცხოვრებას ხომ არაერთგზის დაუდასტურებია, რომ ყოველგვარი დეფიციტი მატერიალურ თუ სულიერ სფეროში გარდაუვალად იწვევს სპეკულაციას, ჩვენი ზნეობრივი ორიენტირების დაკარგვას.

აი რატომ აღიქვეს კმაყოფილებით პლენუმის მონაწილეებმა დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის **პ. შ. თორდიას** და საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" გენერალური დირექტორის **თ. ი. პაიჭაძის** განცხადებანი, რომ მათი საწარმოები აპირებენ მკვეთრად გაზარდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. კერძოდ, ჩარხმშენებლები უკვე წელს იძლევიან პირობას, რომ მას გაზრდიან ორნახევარჯერ, ხოლო ავიამშენებლები აპირებენ უახლესი ჰერეტის სარეცხი მანქანის ნაკადურ გამოშვებას.

გარდაქმნის მთელი სტრუქტურის მთავარი ელემენტი ადამიანია. და მას უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მან შეძლოს გამოავლინოს თავისი საუკეთესო თვისებები. ამავე დროს, აღინიშნა პლენუმმა, იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცების, მისი მორალური გაჯანსაღების მიმართულებით. აღმზრდელობითს მუშაობაში დაშვებული შეცდომების ბრალია გავრცელებული ანგარებითი დანაშაულობანი, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია და მომხმარებლობა. შეცდომა იქნებოდა მიგვეჩნია, რომ სერიოზულად გამოვუთხარეთ ძირი ნარკომანიას, ლოთობას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის საყოფაცხოვრებო გამოვლინებას, მარტო იმით, რომ შევზღუდეთ ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა.

იდეოლოგიური მუშაობის არსებული ნაკლოვანებანი გარკვეულწილად იმით აიხსნება, რომ პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, მათ შორის პარტიული კომიტეტების მდივნები, არ იჩენენ ინიციატივას, ზოგჯერ გვერდსაც კი უვლიან ცალკეულ მწვავე საკითხებს. ამ ფაქტორის შეუფასებლობა, მიმდინარე პროცესების შესახებ საჭირო ინფორმაციის უქონლობა ამცირებს პროპაგანდისტული და ახსნა-განმარტებითი მუშაობის დროული ორგანიზაციის ეფექტიანობას. ამის შედეგად ვრცელდება ათასნაირი ხმები და ჭორები, ზოგჯერ კი ცალკეული პირები ცდილობენ გაზვიადონ, უფრო ზუსტად, ხელოვნურად წარმოშვან პრობლემები.

სამწუხაროდ, გარდაქმნის მაღალ ტალღაზე ჯერ კიდევ ბევრი ქაფია. კეთილსინდისიერ ადამიანთა მასაში, რომლებიც სარგებლობენ დემოკრატიის გაფართოებით საერთო საქმის ინტერესებისათვის, გაჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ საჯაროობას და ცდილობენ სხვებს თავს მოახვიონ ამბიციური მისწრაფებანი, გაუსწორონ პირადი ანგარიში. შემგუებლები, კარიერისტები ისწრაფვიან გარდაქმნისათვის მებრძოლებად გაასაღონ თავი. ყურადღებით უნდა გავერკვეთ, ვინ ვინ არის, მოითხოვა პლენუმმა.

სავსებით დაეთანხმა რა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მუშაობის შეფასებას, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა **ვ. ლ. გულევიჩმა** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა მოითხოვს მის მნიშვნელოვან შემობრუნებას მოქალაქეობრივი მოვალეობის თემისაკენ, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებისაკენ.

ამაზევე ილაპარაკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმაც **თ. ა. ხუროძემ**. იგი, კერძოდ, შეეხო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის პრობლემას. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციის წინაშე დადგა შტატების შემცირების საკითხი. იმის ნაცვლად, რომ თავიდან მოიშორონ კადრები, რომლებსაც რეალური სარგებლობა არ მოაქვთ, მთელი რიგი საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები უარს ამბობენ ახალგაზრდა სპეციალისტთა სამსახურზე, რომლებსაც ერთ დროს თავადვე იწვევდნენ სამუშაოდ. ამ პრობლემას აწყდებიან საქართველოს დედაქალაქის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც, რაც დაბეჯითებით მოითხოვს პრობლემის უსწრაფეს გადაჭრას.

— მუშაობა ისე უნდა გარდავქმნათ, რომ ადამიანებმა იგრძნონ მისი მაცოცხლებელი შედეგები, — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ხ. მ. ბერულავამ**. — მაგრამ ჯერჯერობით შორს ვართ საქმის იდეალური მდგომარეობისაგან, როცა შევძლებდით გვეთქვა: ჩვენი პრინციპულობის, ძალისხმევის წყალობით განახლება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ქალაქის პარტიულმა კომიტეტებმა, პროპაგანდისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალებამ მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა განმარტონ ეკონომიკისა და ცხოვრების სხვა სფეროების ინტერნაციონალიზაციის ღრმავების ობიექტური პროცესი, დანერგონ ერთაშორისი ურთიერთობის კულტურა, ამასთან გაითვალისწინონ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე ფაქიზი და რთული პროცესები. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, უნდა შეიძინონ მასებთან ცოცხალი მუშაობის, აქტიური, კომპეტენტური, შემტევითი დისკუსიის, მტკივნეულ საკითხებზე კამათის უნარი, საქმის ცოდნით დაამტკიცონ, რომ ნამდვილი დემოკრატია არ არსებობს კანონის, შეგნებული დისციპლინის გარეშე. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო სწრაფად უნდა შეიძინონ დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება, რომელიც ასე აშკარად გვაკლია.

დროა, ბოლოს და ბოლოს, თავიდან მოვიშოროთ ძველი აზროვნება, თითქოს ჩვენი პრობლემების გადაჭრა დამოკიდებულია ზემოდან მიღებულ დირექტივებზე, ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზე, აღნიშნა პლენუმმა. ასეთი პასიური პოზიცია დღეს მიუღებელია, მით უმეტეს კომუნისტისათვის. განახლება თავისთავად არ მოვა, გარდაქმნისათვის უნდა ვიბრძოლოთ, თანაც მტკიცედ და შეუპოვრად.

* * *

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

ვიმოქმედოთ სინდისიერად, მტკიცე რწმენით

იმაზე, თუ რამდენად შედეგიანად განხორციელდება გარდაქმნა დედაქალაქში, თქვა მან, ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის რეალური უკუგება. თბილისს განსაკუთრებული ადგილი უკავია არა იმდენად თავისი სტატუსის, რამდენადაც იმ როლის მეოხებით, რომელსაც იგი ასრულებს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. აქ თავმოყრილია რესპუბლიკის საწარმოო, ინტელექტუალური და პარტიული პოტენციალის ძირითადი ნაწილი. საქალაქო პარტორგანიზაციის რიგებშია 100 ათასზე მეტი სკკპ წევრი, ეს კი საქართველოს კომპარტიის მთელი შემადგენლობის თითქმის მესამედია. ამიტომ ყურადღებაც ყოველთვის იმისადმი, რაც აქ ხდება, ყველაზე დაძაბული და მომთხოვნელია.

რამდენად მზად არის დედაქალაქის პარტორგანიზაციის შტაბი რთული და მრავალმხრივი ამოცანების გადასაწყვეტად? რა ნაკლოვანებები, არასასურველი ტენდენციები უნდა დავძლიოთ ქალაქის ეკონომიკისა და სოციალური სფეროსადმი ხელმძღვანელობაში? როგორ დავრაზმოთ უკეთ კომუნისტები, გავზარდოთ მათი პოლიტიკური აქტიურობა? აი იმ საკითხთა წრე, რომლებსაც ზუსტი პასუხი უნდა გასცენ პლენუმის მონაწილეებმა.

მეთორმეტე ხუთწლედის განვლილი ორი წლის მანძილზე ქალაქის განვითარებაში არც ზრდის ტემპისა და მასშტაბის გეგმაში, არც მით უმეტეს ხარისხობრივ მაჩვენებლებში, არ არის მიღწეული კარდინალური გარდატეხა. უმნიშვნელოა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარება. მიწოდების საქმის გარკვეულ გაუმჯობესებას არ მიუღწევია სტაბილური ხასიათი. სახელმწიფო მიღებამ საშუალება მოგვცა რამდენადმე გაგვეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი, მაგრამ პრობლემის სიმწვავე ჯერ კიდევ არ შენელებულა. პრაქტიკულად არ გვაქვს ძვრები კაპიტალურ მშენებლობაში, განსაკუთრებით, ბინების, სხვა სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში. არ არის დაძლეული უძრაობა ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, კომუნალური და სამედიცინო მომსახურების ხარისხი კვლავინდებურად იწვევს არა მარტო ქალაქისა და მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის, არამედ ჩვენი მრავალი სტუმრის უკმაყოფილებასაც.

კვლავ უაღრესად მძიმეა მეტი წილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა. არ სრულდება მოგების გეგმა, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება უფრო დიდია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში, საბრუნავი სახსრების ნაკლებობამ გასული წლის პირველი ოქტომბრისათვის 145 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ხოლო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულმა მარაგმა — ნახევარ მილიარდ მანეთს. წლის დამლევისათვის ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა ვალმა 580 მილიონ მანეთს მიაღწია, დებიტორულმა დავალიანებამ კი 610 მილიონ მანეთზე მეტს.

ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს ბევრი სამრეწველო საწარმოს პრაქტიკული მოუმზადებლობა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობისათვის. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებიდან, რომლებიც ახალ პირობებზე გადავიდნენ, სულ ცოტა 20 მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. მათგან თითქმის ნახევარი თბილისშია განლაგებული.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა, მისი ბიუროს წევრებმა მეტი კომპეტენტურობა და ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ ამა თუ იმ საწარმოს წარმოშობილი პრობლემების გადაჭრაში. ხშირია შემთხვევები, როცა ისინი წყდება მხოლოდ ზემდგომი ორგანოების ჩარევის შემდეგ.

ქალაქში არ ეწევიან მიზანმიმართულ მუშაობას პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. პრაქტიკულად არ იზრდება „ნ" ინდექსიანი, გაუმჯობესებული ხარისხის საქონლის წარმოება. მისი ხვედრითი წილი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საერთო მოცულობაში მთლიანად ქალაქში მხოლოდ 5,6 პროცენტს შეადგენს. სახსტანდარტების დარღვევის, აგრეთვე ნაწარმის უკმარმიწოდების გამო ეს საწარმოები დიდ ჯარიმას იხდიან.

სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს მუშაობის მრავალცვლიანი რეჟიმის საყოველთაო დანერგვის პრობლემა. მაგრამ ყველა სამეურნეო, და არა მარტო სამეურნეო, ხელმძღვანელი ჯეროვანი პასუხისმგებლობით როდი უდგება მის გადაწყვეტას. სწორედ ამით აიხსნება, რომ თბილისში ყველა საწარმოს დაახლოებით ნახევარი ახლაც ერთ ცვლად მუშაობს, ხოლო ორცვლიანი მუშაობა დანერგილია მხოლოდ ყოველ მესამე-მეოთხე, სამცვლიანი მუშაობა — ყოველ მეცხრე საწარმოში. მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა პრაქტიკულად არ ახორციელებს საერთო-საქალაქო ღონისძიებებს მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლის პირობების შექმნისათვის. კერძოდ, შესაბამისი ცვლილებანი არ შეაქვთ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სამსახურების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მუშაობის რეჟიმში, არ გადაწყვეტილა სატრანსპორტო მომსახურების საკითხები.

არ აღმოფხვრილა ფორმალური მიდგომა ისეთი მნიშვნელოვანი საქმისადმი, როგორიც არის სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია. რაზე შეგვიძლია ლაპარაკი, თუ ამ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ ლენინისა და გლდანის რაიონებში ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა ხვედრითი წილი არ შემცირებულა, ოქტომბრის, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში კი გაიზარდა კიდეც.

საქალაქო კომიტეტის ბიურო, პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად მუშაობენ დადებითი გამოცდილების გავრცელებისათვის, განსაკუთრებით მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისათვის მზადებისა და გადასვლის ურთიერთდაკავშირებული პრობლემების კომპლექსური გადაჭრისათვის. ქალაქში პრაქტიკულად არ არის საწარმო, სადაც ჯეროვან დონეზე წყდებოდეს ამ საკითხთა მთელი კომპლექსი.

როგორც ვხედავთ, ქალაქის მრეწველობაში დგას რთული, არაერთმნიშვნელოვანი და თვისებრივად ახალი ამოცანები. მათს გადაწყვეტაში აქტიურად უნდა ჩაებას საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ა. ი. პავშენცევი. იგი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებებისადმი ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ქალაქის პრობლემების კომპლექსურ გადაჭრაში დიდ იმედებს ვამყარებდით ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებებზე. სამწუხაროდ, ამ ფორმირებათა პოტენციური შესაძლებლობანი უაღრესად არადამაკმაყოფილებლად გამოიყენება. იქ კი, აღმასკომების საგეგმო კომისიების აპარატების ჩათვლით, მუშაობს 200-ზე მეტი კაცი.

ამ გაერთიანებათა უმრავლესობას ჯერ კიდევ არა აქვს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და ასორტიმენტის გაფართოების, მათზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების ზუსტი პროგრამა. ამის შედეგად ქალაქის ყოველი მესამე საწარმო ჯერ კიდევ არ შედგომია მის გამოშვებას, ბევრი მათგანი კი საერთოდ არ მისდევს ამ საქმეს.

დარგთაშორისი გაერთიანებების მცირე ეფექტიანობა, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს, რომ მათდამი ქალაქის პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობაში სერიოზული ხარვეზებია. პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები რომ მათ მუშაობას წარმართავდნენ საჭირო კალაპოტით, ოპერატიულად გადაიჭრებოდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფართო სპექტრის პრობლემები. ეს გაერთიანებანი ხშირად უნდებიან უმაქნისი ინფორმაციისა და ანგარიშგების შეგროვებას, და ამით იქცევიან აღმასკომების და პარტიული კომიტეტების საკანცელარიო დანამატად.

სერიოზული პრობლემები დგას ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნასთან დაკავშირებით. მართვაში გამოთავისუფლებულ მუშაკთა აბსოლუტური უმრავლესობა — 6,5 ათასზე მეტი კაცი — რესპუბლიკის დედაქალაქის წილად მოდის. საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ამ პრობლემის სიმწვავის შენელების ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია. საჭიროა უკვე უახლოეს დროში გვქონდეს გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის, გადამზადებისა და გადანაწილებისათვის მოქმედების ზუსტი პროგრამა. ეს ეხებათ არა მარტო რესპუბლიკური სამეურნეო ორგანოების თანამშრომლებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ შემადგენლობას, არამედ უშუალოდ წარმოებაში მომუშავე მუშაკთა დიდ ნაწილსაც.

ქალაქის ხელმძღვანელობამ შრომსახკომთან ერთად ყოველნაირად უნდა დააჩქაროს მოსახლეობის ოპერატიული შრომითი მოწყობის სისტემის დანერგვა. უნდა ავამოქმედოთ ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური ბერკეტი შრომითი რესურსებთან სამუშაო ადგილების შეწონასწორების მიღწევისათვის. ჯერჯერობით აშკარად საკმარისი არ არის ღონისძიებანი, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება ქალაქში.

პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს მრავალი წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობის გაუმართლებელი მექანიკური ზრდა. ამ პროცესში ინერციის დაძლევა ყველაზე აქტუალური ამოცანაა. ამასთან დაკავშირებით ქალაქის ხელმძღვანელობა უფრო პრინციპულ პოზიციას უნდა დაადგეს ამ საკითხში, რათა უმოკლეს დროში მიაღწიოს გარდატეხას. ჩაწერის მიღებული წესის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს შესაბამისი მკაცრი რეაგირების გარეშე. და რაც მთავარია, ასეთი ფაქტები თავიდან უნდა ავიცილოთ.

უნდა გამოვძებნოთ პრობლემის გადაჭრის სხვა გზებიც. მაგალითად, გაუმართლებელია ის, რომ დედაქალაქში განლაგებულია 46 პროფტექნიკური სასწავლებელი, ხოლო კონტინგენტი ძირითადად ყალიბდება სოფლის ახალგაზრდობის ხარჯზე. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მათი უმეტესი ნაწილი დაშვებული თუ დაუშვებელი ღონისძიებებით ქალაქში რჩება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის წინ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში მოეწყო კადრების ეკონომიკური წიგნიერების დონის გამოკვლევა. შედეგები დამაფიქრებელი აღმოჩნდა. მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი და ხელმძღვანელებიც კი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონს სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს მხოლოდ ზოგადად იცნობენ.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, რომლებსაც დაკისრებული აქვთ საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ეკონომიკური საყოველთაო სწავლების გშლისა და საწარმოო-ეკონომიკური სწავლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისადმი, ძალიან გააჭიანურეს ამ სისტემის შექმნა. საქალაქო კომიტეტის ბიურომ მკვეთრად უნდა გაადიდოს აქტიურობა და შემტევითობა გარდაქმნის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე.

სრულად არ გამოიყენება რესპუბლიკის უზარმაზარი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, რომლის სამი მეოთხედი თბილისშია თავმოყრილი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საქალაქო საკოორდინაციო საბჭო უკვე ორი წელია პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. სამეცნიერო ორგანიზაციების წინაშე, რომლებიც ჯერ კიდევ არასაკმარისად მუშაობენ ქალაქისათვის, დიდი ხანია არ დასახულა თბილისის ჰრილით ხანგრძლივი პერსპექტივისათვის გათვალისწინებული დიდი ამოცანები.

პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს ნაკლები კონტაქტები აქვთ მეცნიერებთან, ცუდად ფლობენ მეცნიერულ კოლექტივებში არსებულ სიტუაციას. ამავე დროს ბევრ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეინიშნება არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება. ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები უამრავ დროსა და ნერვებს ახმარენ ისეთი ურთიერთდამოკიდებულების გამორკვევას, რომელსაც საერთო არა აქვს რა მეცნიერებასთან, უსაფუძვლო ამბიციების დაკმაყოფილებას.

ამავე დროს, სიტუაცია მეცნიერებაში ძირეულად იცვლება მეურნეობრიობის ახალ პირობებზე მის გადასვლასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, რომ სამეცნიერო კოლექტივების უმრავლესობას არა აქვს შესაბამისი გამოცდილება. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, და, უწინარეს ყოვლისა, საქალაქო კომიტეტმა, მიზნად უნდა დაუსახონ სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს წარმოშობილი პრობლემების გადაჭრა. მით უმეტეს,

(დასასრული მე-4 გვ.)

სიმართლის გაკვეთილებიდან — რეალური საქმეებისაკენ

(დასასრული)

რომ ბევრ მათგანს ცუდად წარმოუდგენია, რა ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო ახალ პირობებში ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის. შთაბეჭდილება, რომელიც გვექმნება სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მზადყოფნის შესწავლისას, ვერ განგვაწყობს ოპტიმისტურად. არადა, მეცნიერების წარმატებულ გარდაქმნაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მთელი ჩვენი ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდება. და აქ თბილისის მეცნიერებას შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი.

ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა კვლავ ჩაშალეს საცალო საქონელბრუნვის გეგმა. სხვაობამ 132 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მკვეთრად შემცირდა გეგმის რეალიზაციის დონე მეოთხე კვარტალში. დედაქალაქის ვერც ერთმა რაიონმა ვერ შეასრულა საგეგმო დავალებანი. ამავე დროს, კვლავ ინერტულად მუშაობს საქალაქო ვაჭრობის ხელმძღვანელობა, სათანადო პრინციპულობასა და სიმტკიცეს არ იჩენენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები და აღმასკომები. ამ უბნისათვის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. რამდენიმე წლის წინათ შემუშავებული ვაჭრობის რაციონალიზაციის გენერალური სქემის არსებობის მიუხედავად, ქალაქში დღემდე არ განხორციელებულა მისი შესრულების რეალური ღონისძიებანი.

ბევრი პრობლემაა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. საგეგმო დავალებებს თავი ვერ გაართვეს კალინინის, ორჯონიკიძის, საქარხნო, 26 კომისრის რაიონების შესაბამისმა სამსახურებმა. ქრონიკულად ჩამორჩენილთა შორის არიან გაერთიანებები „თბილისინდფეხსაცმელი", „თბილისგაქირავება" და „ჰიგიენა".

საქალაქო პარტორგანიზაციამ ჯერაც ვერ მოახერხა მშენებელთა კოლექტივები დაერაზმა მშენებლობის პროგრამის წარმატებული რეალიზაციისათვის. მთლიანად დედაქალაქში 1987 წლისათვის ვერ შესრულდა საცხოვრებელი სახლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი. გეგმით გათვალისწინებული 30 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი სახლების ნაცვლად ჩაბარებულია სულ დაახლოებით 5 ათასი, ანუ დაგეგმილზე 6,4-ჯერ ნაკლები. ჩაიშალა საბავშვო ბაღების ჩაბარების გეგმაც. არადა, ქალაქს ხომ ძალზე აკლია სკოლამდელთა დაწესებულებები.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საბინაო ფონდის სარემონტო-აღდგენით სამუშაოთა მდგომარეობა. გაუმართავია კომუნიკაციები, შენობათა ნაწილს უწევენ ექსპლოატაციას შეუწყნარებლად დაბალ ტექნიკურ დონეზე.

ბევრი სახლის ეზოს ტერიტორია არ არის საკმაოდ გამწვანებული და კეთილმოწყობილი. საბავშვო და სპორტული მოედნების აღჭურვილობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ბევრი საცხოვრებელი სახლის გარეგნული სახე გაუმჯობესებას საჭიროებს.

სერიოზულ საყვედურებს იწვევს საბინაო-საექსპლოატაციო სამსახურების მუშაობა, რომლებიც ფაქტობრივად ჩამოსცილდნენ მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის სამუშაოებს. სრული უყაირათობაა წყალმომარაგებაში, რაც მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ქალაქში წყლის დანაკარგები 40 პროცენტს აღწევს. პასუხისმგებლობა ამისათვის ძირითადად ეკისრებათ ქალაქის წყალსამეურნეო სამსახურების მუშაკებს. უყაირათობის ეტალონია ის ფაქტი, რომ დიდძალი სასმელი წყალი იღვრება დამპალოს ხევში, ქალაქი კი, განსაკუთრებით საქარხნო და 26 კომისრის რაიონები, წყალს გრაფიკით იღებს, იმის გამო, რომ დამპალოს ხევის ნიაღვარი ტბორავს რკინიგზის ლიანდაგს, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე თბილისის სახარისხებელი სადგურის ზარალმა დაახლოებით 300 ათასი მანეთი შეადგინა.

უკეთ როდია საქმე თბომეურნეობაშიც. თბოტრასების უხარისხო მშენებლობისა და არსებული სისტემების ტექნიკური გაუმართაობის გამო კვლავ დიდია სითბოს დანაკარგები. საჭირო რეჟიმის შენარჩუნებისათვის საქალაქო სამსახურები სარგებლობენ ერთადერთი საშუალებით — ზრდიან თბომატარებლის ტემპერატურას დადგენილ ნორმაზე 35 პროცენტამდე გაზის გადახარჯვის გზით. მნიშვნელოვან მორალურ, სოციალურ და მატერიალურ ზიანს გვაყენებს დღევანდელი საქალაქო გზების ტექნიკურ საექსპლოატაციო მდგომარეობა. ამავე დროს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ასეთ უწესრიგობას სრულიად გულგრილად უყურებენ.

ქალაქის ხელმძღვანელობის იმ უუნარობის მკაფიო მაგალითი, რომ უზრუნველყოს ელემენტარული პირობები მოსახლეობის ცხოვრებისათვის, არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ვაჭრობაში, კომუნალურ მეურნეობასა და სხვა სფეროებში ახალი წლის წინა დღეებში.

31 დეკემბერს 10-დან 14 საათამდე შერჩევით შემოწმდა ქალაქის მთელი რიგი სავაჭრო ობიექტები. არსებული რესურსების მიუხედავად, ამ მაღაზიებში არ ყოფილა შესაბამისი ასორტიმენტის საქონელი. შემოწმებული ობიექტების 70 პროცენტს გასაყიდად შეტანილი არ ჰქონდა ქათამი, ფქვილი. მეტ წილ მაღაზიებში არ იყო ძროხის ხორცი, ყველი, კარაქი, ფხვნილი შაქარი, კვერცხი, ლიმონათი და მინერალური წყლები.

ამ დღეებში ბევრს სურდა მოახლოებული ან უკვე დამდგარი ახალი წელი ტელეფონით მიელოცა ახლობლებისათვის, მაგრამ ვერ შეძლო. 1 იანვარს საკონტროლო შეკვეთები მიეცა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურს თეთრ წყაროსთან, ზესტაფონთან და თერჯოლასთან სალაპარაკოდ. და დღესაც, პლენუმის მუშაობის დაწყების მომენტისათვის ეს შეკვეთები არ შესრულებულა. სხვათა შორის, ქალაქის სატელეფონო ქსელის მუშაობის შესახებ. სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით, ნავარაუდევი იყო მეთორმეტე ხუთწლედში ამოქმედებულიყო 300 ათასი სატელეფონო ნომერი და, ამრიგად, პრაქტიკულად მთლიანად უზრუნველეყო ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება. ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურების შენობათა აგება დაევალა საქალაქო საბჭოს აღმასკომს. უკვე გავიდა 2,5 წელი და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ავტომატური სატელეფონო სადგურის შენობა არ აგებულა დროულად.

ეს საკითხი განვიხილეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობას მიეცა მითითება განეხორციელებინა გადამწყვეტი ღონისძიებანი, მდგომარეობა კი კვლავ არ იცვლება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქალაქის ხელმძღვანელებს უნარი არ შესწევთ გამოასწორონ ვითარება, შეურიგდნენ ამას და საქმე თვითდინებაზე მიუშვეს.

28 დეკემბერს განხორციელდა ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან ბინებში კომუნალური მომსახურების საავარიო სამსახურების საკონტროლო გამოძახება. მაგრამ აქაც დღემდე ამ გამოძახებაზე არავინ გამოცხადებულა. ძნელია ჩამოთვალოს ქუჩები, უბნები და მიკრორაიონები, სადაც 29-31 დეკემბერს არ გამოერთოთ დიდი ხნით, მთელი დღეებითაც კი, ელექტროენერგია, გაზი, გათბობა, ცხელი და ცივი წყალი.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სავალალო მდგომარეობა მოწმობს, რომ საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრმა მ. ნ. მღებრიშვილმა ჯერ ვერ შეძლო გარდაქმნილიყო, ვერ უზრუნველყო მისი საკურატორო სამსახურების ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობა, არ ეძებს ქალაქის მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების პრობლემების გადაჭრის ახალ, უფრო ეფექტიან მეთოდებს.

არ არის პროგრესი აგრეთვე სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციასა და ხარისხშიც. ნელა იცვლება ჯანმრთელობის დაცვის ბევრი ხელმძღვანელის ფსიქოლოგია, და მთლიანად მედიცინის მუშაკთა ფსიქოლოგიაც. სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ, რომ დედაქალაქის სამედიცინო დაწესებულებათა განშტოებულ ქსელში ჯერ არ გამოიძებნა კოლექტივი, რომელიც მზად იყოს თუნდაც ექსპერიმენტის წესით გადავიდეს მუშაობის ახალ ფორმებზე, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ქვეყნის მოწინავე კლინიკებში.

თბილისში არის საბინაო მშენებლობის გრძელვადიანი პროგრამა. ახლა გადაუდებლად საჭიროა მისი დაკონკრეტება. მხედველობაში გვაქვს ქალაქის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის დაზუსტება მისი გარეგნული იერსახის დეტალური დამუშავების ასპექტით — ცენტრალური ნაწილით დაწყებული და ახალი მიკრორაიონებითა და მასივებით დამთავრებული. ქალაქმშენებელთა გარდა აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სოციოლოგებმა, ეკონომისტებმა, ეთნოგრაფებმა, ეკოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა, ჩვენმა პრესამ და ტელევიზიამ, მთელმა საზოგადოებრიობამ. დადგა დრო ვიფიქროთ იმაზეც, სად აშენდება ახალი მასივები. არ უნდა დავუშვათ, რომ ბინებით უზრუნველყოფის რთული ამოცანის გადაწყვეტისას უკანა პლანზე გადავწიოთ შენობათა გარეგნული იერსახე. ჩვენ სახელს გავუტეხთ დასახულ სოციალურ პროგრამას, თუ დაუსრულებლად მოვახდენთ სახლების ერთი და იმავე სერიის ტირაჟირებას. ამავე დროს უნდა ავაღორძინოთ და გავამდიდროთ ახალ საცხოვრებელ სახლებში ისეთი კეთილშობილური ცნებები, როგორიც არის „ჩვენი ეზო", „ჩვენი ქუჩა", „ჩვენი უბანი".

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებთან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების შედარება აშკარად არ მეტყველებს თბილისის სასარგებლოდ, უფრო მეტიც, იგი გვიჩვენებს იმ პრობლემების სიღრმეს, რომლებიც ქალაქის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში დაგროვდა. მაგალითად, წარმოების ზრდის ტემპით თბილისი მეცხრე ადგილზეა, შრომის ნაყოფიერების მიხედვით — მეთორმეტეზე, კაპიტალური მშენებლობის ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით — მეთერთმეტე-მეთოთხმეტე ადგილზე. მძიმე საბინაო პირობების მიუხედავად, ბუნებრივი მატების 1000 კაცისათვის აშენებული ბინების რიცხვით ჩვენს დედაქალაქს მეცხრე ადგილი უკავია და თანდათან ყველაზე ქვედა რიგებისაკენ მიექანება. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელის განვითარების დონით, აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვის მოცულობით თბილისი მეცხრე-მეთერთმეტე ადგილზეა, ერთ სულ მცხოვრებზე ფასიანი მომსახურებით — მეათეზე, ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა მომსახურების მიხედვით — მეთერთმეტე-მეთხუთმეტე ადგილზე. სამაგიეროდ 10 ათას კაცზე ექიმთა რიცხვით თბილისი პირველ ადგილზეა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ქალაქისა და რესპუბლიკის მოსახლეობა ხშირად მიემგზავრება კვალიფიციური სამედიცინო დახმარებისათვის მოსკოვში, ლენინგრადში, ქვეყნის სხვა ცენტრებში.

თბილისს მისი პოტენციალის შესაბამისი ადგილი უნდა ეკავოს არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებს შორისაც. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა იზრუნოს საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრმა ი. ო. ანდრიაძემ.

უმწვავეს სოციალურ პრობლემად რჩება წესრიგის დამყარება ბინის მიღების აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანისა და განაწილების საქმეში. ამავე დროს, ამ საქმეში სრული ქაოსი სუფევს, სოციალური სამართლიანობის რაიმე პრინციპების დაცვაზე ლაპარაკი აქ ჯერჯერობით მეტად ნაადრევია.

ყურადღებას იპყრობს ასეთი ფაქტი. საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილებით პავლოვის ქუჩაზე დაანგრიეს საცხოვრებლად სავსებით გამოსადეგი სახლები, რათა აეშენებინათ იქ 16-სართულიანი კორპუსები. ამან მოითხოვა 130-მდე ოჯახის გადასახლება და მათთვის შესაბამისი ბინების მიცემა. საქალაქო აღმასკომისა და ორჯონიკიძის, შემდეგ კი საბურთალოს რაიაღმასკომების წაყრუების ვითარებაში ამჟამად აღებულ სახლებში სისტემატურად ირღვეოდა საბინაო კანონმდებლობის, საპასპორტო რეჟიმის ელემენტარული მოთხოვნები. ამის შედეგად ამ სახლებში წარმოუდგენლად გაიზარდა ოჯახების რიცხვი. კერძოდ, ვინმე ხეჩიკაშვილის ერთოთახიან ბინაში 17 კვადრატულ მეტრ ფართობზე ჩაწერილი იყო 33 კაცი. მარტო მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სახლის დანგრევისას თერთმეტი ბინის გამოყოფა გახდა საჭირო. მეორე ასეთივე ერთოთახიან ბინაში ჩაწერილი იყო 17 კაცი, მათ შორის დიასახლისის ქალიშვილი თავისი სამი შვილით, რომელიც ფაქტობრივად დიდი ხანია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს.

ამას წინათ საქალაქო აღმასკომმა საბინაო კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის, ბინების განაწილების დროს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და აგრეთვე სხვა ნეგატიური მოვლენებისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლა თელასის ყოფილი უფროსი ა. კაკაბაძე, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე ჯიუტად ხელს უშლიდა ვეტერან მუშასა და მის შვილებს, აგრეთვე თელასის მუშაკებს, მიეღოთ კუთვნილი ბინა. სამართლიანობამ მხოლოდ მას შემდეგ გაიმარჯვა, რაც საქმეში ცენტრალური კომიტეტი ჩაერია.

აი კიდევ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთი დადასტურება: საბურთალოს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ დ. ჯაფარიძემ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსს მოთხოვა ტელეფონი დაედგა თავისი მძღოლის ბინაში. ამასთან ნომერი ჩამოერთვა საქვაბისათვის, რომელიც 360 სახლს ემსახურება. ყოველგვარი რიგითობის დარღვევით ტელეფონი დადგეს. ამასთან კავშირგაბმულობის მომსახურებას კვლავინდებურად ანაზღაურებდა სახელმწიფო. პარტიის რაიკომი რატომღაც ასეთ ფაქტებს არ აძლევს პრინციპულ შეფასებას და წვრილმანად მიაჩნია ისინი.

უკანასკნელი წლების მანძილზე მეტყველებაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი „დაკეტილი ბინა". ეს არის საცხოვრებელი ფართობი, რომელზეც გამოწერილია ორდერი, მაგრამ იმის გამო, რომ პატრონებს იგი არ სჭირდებათ, მას არ იყენებენ. ამგვარი ბინების რიცხვი ნიადაგ იზრდება, მათ შორის თბილისშიც, სადაც აღმოჩენილია 300-ზე მეტი ხანგრძლივი დროით დაკეტილი ბინა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ვითარება ვაჭრობის ობიექტებზე. რამდენჯერ გვითქვამს, რომ უნდა გავერკვეთ რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა იმ მოადგილეების საქმიანობაში, რომლებიც ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევენ კურირებას. რას აკეთებენ ეს ადამიანები? რას წარმოადგენენ ისინი? თავის ადგილას არიან თუ არა? მათგან ხომ არავითარი უკუგება არ იგრძნობა.

ახლახან გამოვლინდა აღმაშფოთებელი ფაქტი ქალაქის საზოგადოებრივი კვების სისტემაში. ბოროტმოქმედნი ბავშვებს ქურდავდნენ — იპარავდნენ მოსწავლეთა კვებისათვის გათვალისწინებულ კარაქს და განზე ყიდდნენ. სიტყვები არ გვყოფნის, აღშფოთების გამოსათქმელად. ეს უბრალოდ დარღვევა კი არა, იმ პირთა დეგრადაციის შედეგია, რომლებსაც მინდობილი აქვთ სკოლის მომარაგება და კვების ორგანიზაცია. ბევრს ავიწყდება, რომ სასკოლო ბუფეტი იგივე კლასია, კერძის მიღება კი იგივე გაკვეთილია. რას ვასწავლით ბავშვებს ამ გაკვეთილებზე? იმას, თუ როგორ უნდა იქურდონ და მოატყუონ? ქარხნებსა და ფაბრიკებში სასადილოებს № 1 საამქროს უწოდებენ, თბილისის ბევრ სკოლაში კი ისინი მოთავსებულია ყოვლად უსახურ და მოუმარჯვებელ შენობებში.

ჩვეულებრივი გახდა ყოველგვარი ბოროტმოქმედება: მყიდველთა ანგარიშში მოტყუება, დეფიციტური საქონლის გადამალვა, საკასო დისციპლინის დარღვევები. წესრიგი არ დამყარებულა საკასო მეურნეობაში.

ქალაქის ხელმძღვანელობას არაერთგზის მიეთითა, რომ საკმარისად არ არის განვითარებული საშემნახველო საქმე, კერძოდ, ის, თუ რა ხელსაყრელია ხელფასის გადახდა შემნახველი სალაროების მეშვეობით. თუ რესპუბლიკაში ამგვარი გზით ემსახურებიან მუშათა და მოსამსახურეთა დაახლოებით 10 პროცენტს, რაც თავისთავად ძალიან ცოტაა, თბილისში ემსახურებიან 7 პროცენტზე ოდნავ მეტს.

შემნახველი სალაროების მეშვეობით ხელფასის გაცემა ბევრად შეუწყობდა ხელს ფულის მიმოქცევის გაჯანსაღებას.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში საქმის ვითარებისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრს პ. პ. ჩხეიძეს. მან უნდა გააძლიეროს მომთხოვნელობა, უფრო აქტიურად შემოგვთავაზოს ამ დარგებში გარდაქმნის პარტიული ხელმძღვანელობის კონკრეტული ფორმები და მეთოდები.

ამ და სხვა სფეროებში დაგროვილი პრობლემების გადაჭრას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრას გარკვეულწილად შეუძლიათ შეუწყონ ხელი სახალხო კონტროლის ორგანოებმა. საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრმა მ. დ. ავალიანმა უფრო მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი საქმეს, დააჩქაროს სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გარდაქმნა.

გარდაქმნის გაკვეთილები გვასწავლის, რომ, თუ არ გვექნება მაღალი ზნეობრივი კატეგორიები, ვერ დავნერგავთ ნამდვილ სამეურნეო ანგარიშს, ვერ გადავალთ თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე, შეუძლებელი იქნება ჯანმრთელი, ურთიერთხელსაყრელი და პატიოსანი თანამშრომლობა და ურთიერთკავშირი კოლექტივის წევრებსა და მთლიანად კოლექტივებს შორის. ამიტომ უფრო ღრმად უნდა ვწვდებოდეთ პრობლემებს. ზოგჯერ ხომ მიღწევების მაჩვენებლებს, ციფრებსა და პროცენტებს მიღმა იმალება უხეში ხარვეზებისა და დარღვევების ბევრი ფაქტი. გარდაქმნის ტალღაზე მრავალი ცდილობს შეინიღბოს ამით, განაგრძობს მაქინაციებსა და ბოროტმოქმედებას. ქალაქში არ იგრძნობა საყოველთაო წუხილი სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის გამო.

ჯერ კიდევ ბევრი სირთულეა ბრძოლაში საზოგადოებრივად ისეთ საშიშ სოციალურ ბოროტებასთან, როგორიცაა ნარკომანია და ალკოჰოლიზმი. მილიციის ბევრი რაიგანყოფილება ცუდად ფლობს ვითარებას, ხელიდან უშვებს ინიციატივას. სერიოზული ნაკლოვანებანია ნარკომანთა მკურნალობის ორგანიზაციაში. აქ უნდა გააუმჯობესონ ურთიერთმოქმედება ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა. შარშან განახლდა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა საზოგადოებრივი კვების ბევრ ობიექტზე, სადაც წინათ იგი აკრძალული იყო. და აი შედეგიც. წლის მანძილზე საქალაქო სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მიიყვანეს დაახლოებით 5,5 ათასი კაცი, მათ შორის დაახლოებით 200 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 600 კომკავშირელი, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ მიყვანილთა შორის არის დაახლოებით 100 სტუდენტი და ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლე.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ დედაქალაქის პარტორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის დარგში ყოველთვის როდი ატარებს თანამიმდევრულ, სისტემურ ხასიათს.

ორი წლის წინათ საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე დაისახა ამოცანა განახლებულიყო საქალაქო მილიციის საკადრო შემადგენლობა მკვიდრ თბილისელთა ხარჯზე. უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა. იგი უნდა გაგრძელდეს — ქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოებში ჯერ კიდევ მუშაობს ახლომდებარე რაიონების დაახლოებით 600 მცხოვრები. გარდა ამისა, ყოველნაირად უნდა გავზარდოთ მომთხოვნელობა კადრებისადმი, ამაში გვარწმუნებს [illegible] ორგანოებში კანონიერების დაცვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

მეტი შეტევითობა უნდა გამოიჩინოს საქალაქო პროკურატურამ სახელმწიფო წესრიგის დამყარებასა და კანონიერების განმტკიცებაში, ქალაქის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საქმიანობაში, უშრომელი შემოსავლის მიღების არხების გადაკეტვაში.

ანალიზი მოწმობს, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია არსებითად მოუმზადებელი აღმოჩნდა დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში მუშაობისათვის. ბიუროს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია იმისათვის, რომ საქალაქო კომიტეტის ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობდეს გარდაქმნის პრობლემების გადაჭრაში. სწორი კრიტიკა გამოითქვა საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკის მისამართით. მართლაც, ძნელია ლაპარაკი რამე ცოცხალ მუშაობაზე, როცა პარტიის რაიკომების მდივნები კვირაში 5-6 თათბირში მონაწილეობენ, რომლებიც საქალაქო კომიტეტში იმართება. ამასთან, ყოველი მათგანი შეუწყნარებლად დიდხანს გრძელდება.

ბიუროს წევრებს ყოველთვის როდი ჰყოფნით უნარი თვალთახედვის არეში იქონიონ პრობლემები, აკლიათ ინიციატივა და მათი გადაწყვეტის ორგანიზების უნარი. პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი უნდა გახდეს ყველა მიმართულებით, ყველა პარტიულ რგოლში მუშაობის ძირეული გარდაქმნის საწყისი მიჯნა.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია არა მარტო ყველაზე დიდი და მძლავრი, არამედ ყველაზე ინტელექტუალური ორგანიზაციაც არის, მას აქვს არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეც არის დააჩქაროს გარდაქმნის ტემპი, პასუხი გასცეს ყველა კითხვას, გადაწყვიტოს ყველა პრობლემა. ამისათვის საჭიროა, რომ საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა გამოიტანონ სწორი დასკვნები აქ გამოთქმული მწვავე, ზოგჯერ კი მკაცრი კრიტიკიდან და საქალაქო კომიტეტის წევრთა აქტიური მხარდაჭერით შეუტიონ ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

* * *

პლენუმმა შემოგვთავაზა სიმართლის ღია გაკვეთილი. ატმოსფერომ, რომელშიც იგი მიმდინარეობდა, ცხადყო, რომ არ უნდა გვეშინოდეს ვსვამდეთ მწვავე საკითხებს, ვაკრიტიკებდეთ და ვკამათობდეთ. კეთილმოსურნე კრიტიკა და ამხანაგური მომთხოვნელობა ხელს უნდა უწყობდეს აზროვნების ინერციის დაძლევას, არასტანდარტული გადაწყვეტების გზების ძიებას. სწორად თქვა პლენუმის ერთ-ერთმა მონაწილემ: „ეს იყო კარგი გაკვეთილი ყველასათვის. ჩვენ შევიგნეთ: ადამიანთა წინაშე მთლიანად უნდა ვაგებდეთ პასუხს".

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმისათვის

შემომაქვს წინადადება

მოსაზრებები, რომლებიც გამოითქვა პარტიულ კრებებზე და პარტიული კომიტეტების პლენუმებზე

აუცილებლად მიმაჩნია ყოველი დასაწინაურებელი მუშაკის დახასიათება იმ ორგანიზაციის ღია პარტიულ კრებაზე დამტკიცდეს, სადაც იგი მუშაობს.

მ. ჯვარიძე,
ასპინძის რაიონის ნიალის საბჭოთა მეურნეობის ფერმის გამგე

მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ ერთი და იგივე პირს ირჩევენ სხვადასხვა დონის საბჭოების დეპუტატად, პარტიული ორგანოების წევრად და ა. შ. ამასთანავე ბევრი მოწინავე ადამიანი, თავგამოჩენილი მუშაკი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების და საბჭოების გარეთ რჩება.

ო. ცინარიძე,
შუახევის რაიონული გაზეთის „დროშის" რედაქტორის მოადგილე.

სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია საჯაროდ მოვაწყოთ საწარმოთა ხელმძღვანელების ატესტაცია ამ კანონის მოთხოვნების თვალსაზრისით.

თ. ქველია,
ცხაკაიას რაიონის № 5 ტრესტის ზეინკალი.

მიზანშეწონილად მიმაჩნია პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებს რიგრიგობით უძღვებოდეს ბიუროს ყველა წევრი.

ლ. პაპავა,
აბაშის რაიონის ნორიოს კოლმეურნეობის ფერმის მუშა.

კარგი იქნებოდა, მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის ვეტერანთაგან შექმნილიყო არასაწესდებო ჯგუფები, რომლებიც თავიანთი დიდი გამოცდილების საფუძველზე ხელს მოჰკიდებდნენ პარტიაში ახალგაზრდობის მიღების საკითხებს და დაეხმარებოდნენ ახალგაზრდა კომუნისტებს.

ი. აბაშიძე,
ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის კოლმეურნეობის წევრი.

1988 წლიდან ბევრი საწარმო სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადავიდა. მაგრამ ამ ეკონომიკური ბერკეტების არსი მთლად ნათელი ვერ არის ბევრი შრომითი კოლექტივისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ამ საკითხებზე განმარტებითი მუშაობის სისტემა.

ვ. ჯაფარიძე,
„თბილისავტოტექმომსახურების" უფროსი ინჟინერი.

სარემონტო სამუშაოთა დაახლოებით 70 პროცენტი რამდენიმე დღეში კეთდება ხოლმე, რაც ცუდ გავლენას ახდენს ხარისხზე. ამის მიზეზია საშენი მასალებით ურიტმო მომარაგება. ამიტომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღვკვეთოთ შეფერხებანი მასალების მიწოდებაში.

ზ. მიქაძე,
თბილისის 26 კომისრის რაიონის სარემონტო კანტორის უფროსი.

უნდა ვიზრუნოთ „ქვემოდან" კონტროლის სისტემის შექმნისთვის, რადგან საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რომ ყოველი ხელმძღვანელი, ყოველი თანამდებობის პირი, ხელმძღვანელი არჩევითი ორგანოების წარმომადგენლები გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას და იცოდნენ, რომ დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე, შრომითს კოლექტივებზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

პარტიული კომიტეტების პლენუმებიდან.

საწარმოებს ბევრ დროს ართმევს ხშირად ერთმანეთის მადუბლირებელი რევიზიები და შემოწმებანი, რომლებსაც რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები და საკონტროლო ორგანოები აწყობენ. 1987 წლის 10 თვეში რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში სხვადასხვა საკითხის გამო შემოწმებაზე მარტო სახაგრომრეწვიდან თითქმის 450 კაცი ჩამოვიდა. ასეთ პირობებში ძნელია მუშაობა. დროა მოგვარდეს ეს საკითხი.

ლ. მახაშვილი,
საგარეჯოს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტში სრულად ვერ არის გათვალისწინებული გარემოზე მავნე ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედების ნეიტრალიზაცია, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მთავრობის კომისია გამოიყოს ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

ი. დიასამიძე,
ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი.

სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადასვლასთან დაკავშირებით ბევრი მათგანი პირველ ხანებში საშეფო დახმარებას ვეღარ გაუწევს საბავშვო ბაგა-ბაღებს, რაიონული განათლების განყოფილების მიერ გამოყოფილი სახსრები კი არ კმარა. რაიმე გამოსავალი უნდა გამოვნახოთ ამ მდგომარეობიდან.

ლ. მაჩიტაძე,
თბილისის № 28 საბავშვო ბაღის დირექტორი.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საკითხებს. მეტ წილ შემთხვევებში მოსახლეობა იძულებულია საცხოვრებელი სახლების დეფექტები კერძო გზით გამოასწოროს. თბილისის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების მუშაობა ყოვლად უვარგისია. ფონიჭალაში მწვავედ დგას მოსახლეობის დასვენებისა და ყოფის საკითხი. რამდენი წელია ვერ გადაჭრილა კინოთეატრის მშენებლობის საკითხიც.

ი. გორბაჩოვი,
თბილისის კამოს სახელობის ქარხნის სამსხმელო-მექანიკური საამქროს მუშა.

ვარკეთილი-8-ის და ვაზისუბნის 80-ათასიან მოსახლეობას არც ერთი კულტურულ-სანახაობითი დაწესებულება არ აქვს. არ არის კულტურულ-მასობრივი და საგანმანათლებლო მუშაობის პირობები.

ა. ოსიაშვილი,
პენსიონერი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების არსებული ფორმები განახლებას მოითხოვს, ფორმალიზმი ახასიათებს. საჭიროა ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხისადმი უფრო მეცნიერული მიდგომა.

ი. სიხარულიძე,
„საქპოლიმერკონტეინერის" პარტბიუროს მდივანი.

გარდაქმნა ნაკლებად იგრძნობა პროკურატურისა და მილიციის ორგანოებში, აქ ჯერ კიდევ მუშაობენ თანამშრომლები, რომლებიც ლახავენ ადმინისტრაციული ორგანოების ავტორიტეტს.

შ. ათაგაჩი,
შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიღებული აქვს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დადგენილება, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება, მაგრამ ისინი ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევიან. სწორედ ასეთებს განეკუთვნება დადგენილება პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, მავნე ტენდენციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების ღონისძიებების, ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ და სხვანი, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის კომუნისტებისათვის და მშრომელებისათვის. დადგენილებებში წამოჭრილი პრობლემები ჯერაც არ გადაჭრილა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორ სრულდება ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნული დადგენილებანი მუშაობის გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად.

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების პლენუმებიდან.

1982 წელს თაფანის მასივში „საქმთავარწყალმშენმა" საექსპლოატაციოდ ჩააბარა 400 ჰექტარის მოსარწყავი დასაწვიმი სისტემა, მაგრამ მას ფაქტობრივად არც ერთ დღეს არ უმუშავია.

ზ. დევნოზაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურო უფრო ხშირად უნდა ნიშნავდეს საწარმოთა და მეურნეობათა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ადგილობრივ კადრებს; ამ მხრივ მეტი თავისუფლება უნდა მიეცეთ პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს. ხშირად საწარმოთა ხელმძღვანელებად ნიშნავენ ისეთ ხალხს, რომლებიც რიგიანად ვერ იცნობენ კოლექტივსა და რაიონს.

დ. რეკვავა,
საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომის მეორე მდივანი.

ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხი დღეს არავის ახსოვს. ჯერჯერობით მხოლოდ ლოზუნგები და მოწოდებანი გაისმის, პრაქტიკულად კი არაფერი კეთდება. კვლავინდებურად მტაცებლურია ტყისადმი დამოკიდებულება. თითქმის ვეღარ ნახავთ წითელ ხეს, იგივე ბედი ელის წაბლს. ადგილობრივი მცხოვრებნი დაუზოგავად კაფავენ ტყეს. თუ ასე გაგრძელდა, აფხაზეთი მალე უდაბნოდ იქცევა.

ვ. თარბა,
ტყვარჩელის № 8 საშუალო სკოლის დირექტორი.

არის შემთხვევები, როცა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ჩვენს გაერთიანებას მორალურად მოძველებულ ან ისეთ მოწყობილობას გამოუყოფენ ხოლმე, რომელიც არაფრად არ სჭირდებათ. კერძოდ, 1987 წელს ჩაის ექსტრაქტორი გამოგვიყოფეს.

ნ. ჩოთალიშვილი,
თელავის რაიონის წინანდლის მეღვინეობის საწარმოო გაერთიანების მთავარი მექანიკოსი.

დაირღვა ბაკურიანის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის კაპიტალური რემონტის ყველა ვადა, რაც საფრთხეს უქმნის ოლიმპიური გუნდის სრულფასოვან მომზადებას.

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პლენუმზე გამოსვლიდან.

კარგი იქნებოდა ციტრუსები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაცვლითი ოპერაციებისთვის გამოგვეყენებინა, და მეცხოველეობისათვის საკვები შეგვეძინა.

ლ. მჭედლიშვილი,
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ამ ბოლო ხანს მთელი რიგი რადიკალური ღონისძიებანი განხორციელდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციების გამიჯვნისათვის, თუმცაღა პარტიის რაიონულ კომიტეტებს მაინც უხდებათ სამეურნეო საკითხებზე მუშაობა. უმჯობესი ხომ არ იქნება, რომ პარტიის რაიკომის მუშაკები სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს კი არ კურირებდნენ, არამედ ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის იღვწოდნენ უშუალოდ ადამიანებთან, კადრებთან მუშაობის გაძლიერებით. ამდენად რაიკომში კი არ უნდა იყოს დარგობრივი განყოფილებები, არამედ რაისაბჭოს აღმასკომში შეიქმნას საწარმოო-ეკონომიკური სამმართველო, რომელსაც უშუალოდ დაეკისრება დარგებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა.

კიდევ, მე, როგორც საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრს, ამ მხრივ მუშაობის ცოტაოდენი გამოცდილება შევიძინე და ვხედავ, რომ ამჟამად პარტიის რაიკომთან არსებული პარტიული კომისია და რაიონული პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისია, ძირითადად გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ერთგვაროვან ფუნქციებს ასრულებენ. ამიტომ ხომ არ აჯობებდა, სარევიზიო კომისიისათვის ამ ფუნქციების მთლიანად გადაცემა? ამით გამოთავისუფლდება პარტიულ მუშაკთა მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელიც თავის ძალ-ღონეს ადამიანებთან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას მოახმარდა.

და ბოლოს, მიმაჩნია, რომ საქმისათვის მეტად სასარგებლო იქნება, თუ მეცხრამეტე საკავშირო პარტიული კონფერენცია პარტიული კანონის ძალას მიანიჭებს ფართო საჯაროობის, დემოკრატიის საწყისებზე კადრების შერჩევასა და განაწილებას.

ლ. თურქია,
ცხაკაიას ბალიჩების კომბინატის ცვლის ოსტატი, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიისა და ცხაკაიას რაიკომის ბიუროს წევრი.

ქმედითობა

მოვუაროთ შავ ზღვას

ჩვენი გაზეთის გასული წლის 10 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ შავ ზღვას", რომელშიც ლაპარაკი იყო აჭარის ასსრ ტერიტორიაზე შავი ზღვისა და მასში შემავალი მდინარეების ნავთობპროდუქტებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანების შესახებ. ამის გამო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი გვატყობინებს:

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა „კომუნისტის" გამოსვლის გამო და აღნიშნა, რომ გაზეთში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მაგრამ მიუხედავად ამისა შავი ზღვისა და მასში ჩამდინარე მდინარეების ნავთობპროდუქტებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით დაჭუჭყიანება გრძელდება და მდგომარეობა ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელია. ზღვას ნავთობპროდუქტებით კვლავ აჭუჭყიანებენ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამტრედიის განყოფილების ბათუმის რკინიგზის კვანძის საწარმოები, კერძოდ, სალიანდაგო დისტანცია, ბათუმის სავაგონო დეპო, ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზა, აჭარის თევზჭერის სამმართველო და სხვები.

ქალაქის საწმენდი ნაგებობის მცირე ეფექტიანობის გამო ხდება ზღვის ბაქტერიოლოგიური გაჭუჭყიანება. საყოფაცხოვრებო, სამეურნეო ნახმარი წყლებით ძლიერ გაჭუჭყიანებულია მდინარეები კინტრიში, ჩოლოქი, ბარცხანა და მეჯინისწყალი. დღემდე არ არის მოწესრიგებული სანაკელე ორმოები ხელვაჩაურის, ხულოს, ქობულეთის რაიონების რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აღნიშნულის გამო აჭარის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გაწეული მუშაობა შავი ზღვისა და მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეში არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

ბიურომ ცნობად მიიღო, რომ 1988 წელს კაპიტალური დაბანდების გეგმაში შეტანილია ტიპობრივი პროექტის შესაბამისად ნაკელსაცავების მშენებლობა ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკაში, ნაკელსაცავებისა და საწუნწუხე ორმოების მშენებლობა 1988-89 წლებში ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთის, ჩახათის, კვირიკის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალის, ქედქედისა და მახინჯაურის კოლმეურნეობებში, ქედის რაიონის ცხოველმრეწვის მესაქონლეობის ფერმაში.

საქართველოს სსრ შესაბამის რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებში დასმულია საკითხი ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ნახმარი წყლების ლოკალური საწმენდი ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების თაობაზე.

ბიურომ მკაცრი პარტიული სასჯელები დაადო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის დირექტორს ა. ჩინჩალაძეს, პარტიული კომიტეტის მდივანს რ. კონცელიძეს, ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსს ვ. ბლიაძეს, ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძის სალიანდაგო დისტანციის უფროსს ი. კვაჭაძეს, სავაგონო დეპოს უფროსს გ. ცირეკიძეს, კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანს შ. ბაზიაშვილს, ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს ვ. დოლიძეს და გააფრთხილა ისინი — თუ უმოკლეს ვადაში ძირეულად არ გარდაქმნიან მუშაობას, მათ მიმართ განხორციელდება უფრო მკაცრი ღონისძიებები. ბიურომ ასევე მკაცრი სასჯელები დაადო აჭარის ასსრ აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ა. გოგიტიძეს, ვ. იაკობაძეს. მკაცრად გაფრთხილდნენ ქ. ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები რ. დოლიძე, ტ. ნიჟარაძე, ვ. მამულაძე, თ. გოგიაშვილი, თ. მეგრელიშვილი. მათვე დაევალათ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი შავი ზღვისა და მასში ჩამდინარე მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

გ. ემირიძე,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

„პარტიული სიტყვა" № 1

ჟურნალ „პარტიული სიტყვის" საახალწლო ნომერს ხსნის პოეტ ნაზი კილასონიას ლექსი. აქვე დაბეჭდილია მწერალ აკაკი გეწაძის პუბლიცისტური სტატია „საჯაროობის გზით, გარდაქმნის რწმენით". სტატიაში „რევოლუცია გრძელდება" პროფესორი ვლადიმერ მერკვილაძე აღნიშნავს თუ რა მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება" საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებასა და პარტიის საქმიანობაში.

რუბრიკით „ახალი სამეურნეო მექანიზმი: გარდაქმნის მეორე ეტაპი" დაბეჭდილია თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის მამია თენიეშვილის კორესპონდენცია „რით დავიწყეთ, როგორ მოვემზადეთ". კასპის რაიონის მკვიდრი ტრაქტორისტის მრავალშვილიან ოჯახს ეხება ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტის ცისანა შავგულიძის ნარკვევი. ჟურნალის პოლიტიკური მიმომხილველი ნიკოლოზ ნანიტაშვილი მკითხველს ესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობის ახალ პრობლემებზე. ძველი აფხაზური ხალხური ტრადიციების შესახებ გვიამბობს მწერალი გიორგი გულია. ნომერში დაბეჭდილია ცნობილი საბჭოთა მწერლის ლიდია ლიბედინსკაიას წერილი, რომელშიც იგი მკითხველს უზიარებს თავის შემოქმედებით გეგმებს. კერძოდ, ჟურნალის მომავალი ნომრიდან დაიწყება მისი პოლიტიკური მოთხრობის „იბრძოლეთ თავისუფლებისათვის" პუბლიკაცია, რომელიც ეხება გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის ალექსანდრე წულუკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი აწყობს საიუბილეო სესიას, რომელიც ეძღვნება ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის

ალექსი (საშა) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორის

დაბადების 100 წლისთავს.

სესია გაიმართება 1988 წლის 15 იანვარს პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. № 29). დასაწყისი დღის 4 საათზე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ლენინური პრემიის მოსაპოვებლად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში 1988 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, სხვებთან ერთად დაუშვა კანდიდატურები:

კინორეჟისორი **თენგიზ აბულაძე**, კინოტრილოგიისათვის — **„ვედრება“, „ნატვრის ხე“ და „მონანიება“**;

კომპოზიტორი **გია ყანჩელი**, დირიჟორი **ჯანსუღ კახიძე**, ლიბრეტოს ავტორი და რეჟისორი **რობერტ სტურუა** და მხატვარი **გოგი ალექსი-მესხიშვილი** ოპერისათვის **„...და არს მუსიკა“**.

▲ ▲

თბილისის ნორჩი სტუმრები

კეთილ ტრადიციად იქცა სოციალისტური ქვეყნების ნორჩ მოქალაქეთა საერთაშორისო შეხვედრები. ამის მაგალითია თბილისში პოლონელ ხარცერთა კავშირის დელეგაციის ჩამოსვლა, ბავშვებისა და ახალგაზრდობის ამ ნებაყოფლობითი მასობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის რიშარდ ვასინსკის მეთაურობით. ეს ორგანიზაცია 1945 წლიდან არსებობს და აერთიანებს 8-16 წლის ბავშვებსა და ყმაწვილებს. კავშირში შედიან აგრეთვე უფროსები — ინსტრუქტორები, რომლებიც ეწევიან აღმზრდელობით მუშაობას, მასწავლებლები, სტუდენტები, მუშები, პოლონეთის სახალხო არმიის მეომრები.

— ჩვენ შემოგვთავაზეს ვრცელი პროგრამა, — თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა, — გაიმართა შეხვედრები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, საუბრები მოსწავლეებთან და სტუდენტებთან. ინტერესით დავათვალიერეთ კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე და ბავშვთა გამაჯანსაღებელი კომპლექსი „მზიური“, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, ბავშვთა მხატვრული შემოქმედების გალერეა, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრი, ნორჩი მხატვრის რუსუდან ფეტვიაშვილის სახელოსნო.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა მ. ანასაშვილმა.

უცხოეთში

საქდესი იუწყება

14 იანვარი

◆ შვეიცარია

მ. კამპელმანის განცხადება

ჟენევა. **ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა მაქს კამპელმანმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის შეხვედრაზე საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადება მნიშვნელოვანი წვლილია მთელ მსოფლიოში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, სახავს ახალ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით.**

აქ ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას მან თქვა, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა დაავალეს ჟენევის მოლაპარაკების მონაწილე დელეგაციებს ეცადონ რაც შეიძლება სწრაფად დაასრულონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების პროექტის შემუშავება, სასურველია ეს მოხდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება. კამპელმანმა გამოთქვა იმედი, რომ დღეს დაწყებული მოლაპარაკების მორიგი მეცხრე რაუნდი საშუალებას მისცემს მიაღწიონ ახალ შეთანხმებებს საყოველთაო უშიშროების ინტერესებისათვის.

◆ ინგლისი

ლიდერები ვერ შეთანხმდნენ

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიების ლიდერებმა გადაწყვიტეს დროებით შეწყვიტონ მოლაპარაკება პარტიების შერწყმის შესახებ, აღნიშნულია აქ გავრცელებულ მათს ერთობლივ განცხადებაში.

როგორც ბი-ბი-სის ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახური აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია ორივე პარტიის მრავალი რიგითი წევრის უკმაყოფილებით წინათ გამოქვეყნებული „პოლიტიკური დეკლარაციის“ გამო, რომელიც სინამდვილეში ახალი სოციალურ-ლიბერალური და დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტია. განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ამ დოკუმენტმა ლიბერალთა შორის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათმა წარმომადგენლებმა მოლაპარაკებაზე ბევრი რამ დაუთმეს სოციალ-დემოკრატებს ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხში. მაგალითად, ახალი პარტიის „პოლიტიკური დეკლარაციის“ საგარეო-პოლიტიკური ნაწილი ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის ბირთვული არსენალების შენარჩუნებას „თვალსაწიერი მომავლისათვის“ და მათ მოდერნიზაციას. ეს ეწინააღმდეგება ლიბერალთა ანტიბირთვულ მიზნებს, რომლებიც მოიწონეს შარშან უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე. კვლავ უთანხმოებაა სოციალ-დემოკრატებთან ზოგიერთი სხვა პოლიტიკური პრობლემის გამო. მთელმა რიგმა თვალსაჩინო ლიბერალებმა დატოვეს „დეკლარაციის“ შესახებ მოლაპარაკების დასკვნითი რაუნდის სხდომები იმის ნიშნად, რომ არ ეთანხმებიან მის დებულებებს.

ამის მიუხედავად ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა — დევიდ სტილმა და რობერტ მაკლენანმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ განაახლონ მოლაპარაკება პარტიების შერწყმის თაობაზე მას შემდეგ, რაც „მოისმენენ თავიანთი პარტიების რიგითი წევრების აზრს“.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ **ჰავანა. კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ოსკარ არიასმა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ კონტრრევოლუციონერთა ბანდებს მოსთხოვა შეწყვიტონ ძირგამომთხრელი საომარი მოქმედება ნიკარაგუის წინააღმდეგ ან გაეცალონ კოსტა-რიკას.**

აქ მიღებული ცნობების თანახმად სან-ხოსეში გავრცელებულ ღია წერილში კოსტა-რიკის პრეზიდენტმა მიმართა კონტრრევოლუციური ბანდების წინამძღოლებს ალფონსო რობელოს, ალფრედო სესაროს და პედრო ხოაკინ ჩამოროს და კატეგორიულად მოსთხოვა შეწყვიტონ შეიარაღებული ბრძოლა მეზობელი ნიკარაგუის წინააღმდეგ.

◎ **ჰაიტელ** კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის გენერალურმა მდივანმა რენე ტეოდორმა დაგმო ფარსი ეგრეთ წოდებულ „საყოველთაო არჩევნების“ გამართვასთან დაკავშირებით, რომელიც მომავალი კვირისთვის აქვს დანიშნული გენერალ ნამფის რეჟიმს. ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან მოუწოდა კომუნისტებსა და ყველა ჰაიტელს, რომლებიც თანაუგრძნობენ ამ პარტიას, არ მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში.

კრესა კლასტურებს

შიდსი და ახალშობილნი

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკში გასულ თვეში დაბადებული ყოველი 60 ახალშობილიდან ერთს სისხლში აღმოაჩნდა იმ ვირუსის მატარებელი, რომელიც საშიშ შიდსის დაავადებას იწვევს. ეს მონაცემები მიიღეს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის განკარგულებით განხორციელებული კვლევის დროს, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქში დეკემბერში დაბადებული ყველა ბავშვის სისხლის ანალიზს.

მიღებული მონაცემების საფუძველზე სპეციალისტები წინასწარმეტყველებენ, რომ მიმდინარე წელს ნიუ-იორკში დაიბადება შიდსის ვირუსით მოწამლული ათასამდე ბავშვი. „ცუდი ამბები“ უწოდა ამ მონაცემებს ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მეთაურმა, დოქტორმა სტეფან ჯოზეფმა.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, ახალშობილთა სისხლში საუკუნის ყველაზე საშინელი დაავადების ვირუსის არსებობა მოწმობს, რომ მათი დედები ასევე შიდსით არიან დაავადებული.

ქართული თეატრის დღე

ძმობის ფესვები

მოსკოვში 1930 წელს საბჭოთა კავშირის თეატრების ოლიმპიადაში მონაწილეობის შემდეგ, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ეწვია ქ. ხარკოვს, სადაც გაგრძელდა ქართული თეატრალური ხელოვნების ტრიუმფი. მაშინ დაუახლოვდა ერთმანეთს ორი გამოჩენილი რეჟისორი ალ. ახმეტელი და ლეს კურბასი — უკრაინის თეატრის „ბერეზილის“ სამხატვრო ხელმძღვანელი. ეს მეგობრობა თანდათან განმტკიცდა — 1931 წელს საქართველოში გაიმართა უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელზეც ჩამოვიდა კურბასის თეატრი „ბერეზილი“. ამ ორი დასის ურთიერთშემოქმედებითი კავშირის შედეგი იყო ქართულ-უკრაინული დრამატურგიის გაცვლა: თბილისში დაიდგა ჯერ ივანე მიკიტენკოსა და მიკოლა კულიშის, ხოლო მალე ალ. კორნეიჩუკის პიესებიც, ხოლო ხარკოვში შალვა დადიანის „თეთნულდი“.

აღსანიშნავია, რომ ლეს კურბასმა და მხატვარმა მელერმა საგანგებო ექსპედიციაც კი მოაწყვეს სვანეთში იქაური ყოფის შესწავლის მიზნით.

სურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან რეჟისორები ალ. ახმეტელი, ლეს კურბასი და მხატვარი ირ. გამრეკელი, გადაღებულია 1930 წელს.



გიგა ლორთქიფანიძე 60 წლისაა

მოქალაქე-ობრივი სიმაღლე

ქართული თეატრალური რეჟისურის წარსულსა და დღევანდელობას მრავალი გამოჩენილი შემოქმედის სახელი ამშვენებს. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს გიგა ლორთქიფანიძეს.

მისი ცხოვრების ორმოცი წელი ეკუთვნის ქართულ თეატრსა და კინემატოგრაფს, თეატრალურ ინსტიტუტსა და საზოგადო მოღვაწეობას, იმ ასპარეზს, სადაც ნათლად მოჩანს პიროვნების სისრულე, მისი მისწრაფებანი, მოქალაქეობრივი სიმაღლე.

ეს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი ყოველ სფეროში იქნება ეს თეატრი თუ სადისკუსიო ტრიბუნა — ავლენს სამაგალითო აქტიურობას, მგზნებარებას, ეროვნულობის მძაფრ გრძნობას. თავისი კულტურით, აღზრდით, სკოლით იგი განსახიერებაა იმ სინთეზური ერთიანობისა, რომელიც უეჭველია, ამოსულია ეროვნული სახით მეტყველების სიღრმეებიდან და შეთვისებული, გააზრებული აქვს რუსული და ევროპული თეატრალური აზრის, საერთოდ კულტურის და ხელოვნების მონაპოვარი.

მისი სპექტაკლების ფორმა და კონცეფცია ბუნებრივად არის აღმოცენებული თვით ნაწარმოების სიღრმიდან, ორგანულია მისთვის, მთავარი აქ ის არის, რომ ეს ორგანულობა განსაზღვრავს მისი თეატრალური ხელოვნების ორიგინალობას.

თავის აქტიურ შემოქმედებით დამოკიდებულებას იგი გამოხატავს დრამის სტრუქტურის, მისი იდეურ-მხატვრული კონცეფციის მხატვრული გააზრებით და არა ეგრეთ წოდებული „აგრესიული რეჟისურით“. გ. ლორთქიფანიძე დრამის სიღრმეების წვდომის ამ უჩვეულო უნარითა და ზუსტი, ლაპიდარული თეატრალობით გამოირჩევა. მის თეატრალურ შემოქმედებაში სცენოგრაფიას, მუსიკას, მეტაფორისტიკას, რეჟისორულ პარაბოლას სავსებით ნათელი ფუნქცია აკისრია. ისინი არასოდეს წინ არ გამოდიან, არ ამჟღავნებენ მიდრეკილებას ავტონომიისადმი და ყოველთვის ნაწარმოების შინაარსობრივ-იდეურ სამყაროს გამოხატავენ. ეს სწორად განსაზღვრული ფუნქციურობა მეორადობას კი არ ნიშნავს, არამედ რეჟისურის სინთეზურ აზროვნებას ცხადყოფს. მაინც რა არის მთავარი მის, ერთი შეხედვით ნათელ, სადა, სინამდვილეში კი, რთულ, ღრმა პარტიტურაში? უეჭველად მსახიობის ჭეშმარიტ განცდაზე, გრძნობათა და მოქმედებათა სიმართლეზე აღმოცენებული ახალი ხასიათი. მსახიობის შემოქმედების ანუ მისი ქცევის ლოგიკურობით, განცდის გადმოცემის სიმართლით იგი აღწევს დრამის პოეზიის თეატრალურ პოეზიად გარდაქმნის მშვენიერებას. ამიტომაც მისი საუკეთესო სპექტაკლები გვხიბლავს ცოცხალი, დინამიკური მხატვრულ-სცენური სახეებით, გრძნობების რეალურობით, ამ სახეთა მეშვეობით გახსნილი სიღრმისეული შრეებით.

ჭეშმარიტი შემოქმედისათვის დამახასიათებელი სიზუსტით გრძნობს **ისტორიულ** და, პირობითად რომ ვთქვათ, „თეატრალურ დროს“ ანუ, გრძნობს რა დროს **რა** დადგას და **როგორ** დადგას, გრძნობს საზოგადოებაში მომწიფებული კონფლიქტების სიმძაფრეს, პრობლემატიკას, კონფლიქტური სიტუაციის დრამატიზმს.

მან სწორედ იმ დროს შემოიყვანა ნ. დუმბაძის გმირები სცენაზე, როცა აქ ქართული ხასიათების სქემები მოძრაობდნენ და უსისხლხორცო გმირები ლოზუნგების ენით მეტყველებდნენ, ცოცხალმა, უტყუარმა სინამდვილემ, იუმორითა და ცრემლით სავსე ცხოვრებამ, ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ადამიანის სულის სილამაზის გამობრწყინებამ ახალი ეთიკური და ესთეტიკური ძალა შეიძინა.

მან სწორედ იმ დროს შექმნა რუსთაველის თეატრი, როცა ჩვენი თეატრალური სინამდვილე ერთგვარად მოდუნდა და აზროვნების რუტინამ იჩინა თავი. ამ თეატრმა პირდაპირ შექრა, ააფორიაქა, აალელვა თეატრალური საზოგადოებრიობა. აქ დადგმული უმძაფრესი, ფართო საზოგადოებრივი კონფლიქტის შემცველი სპექტაკლები („სირანო დე ბერჟერაკი“, „ასი წლის შემდეგ“, „ფსკერზე“) თავიანთი ელვარე თეატრალობით, აუმღვრეველი რომანტიკული გზნებით, საკუთარი ესთეტიკური და ეთიკური იდეალების დამკვიდრების ძალით განუმეორებელი მოვლენა იყო. ესეც კი საკმარისია იმისათვის, რომ გ. ლორთქიფანიძე, თავის თანამოაზრე უნიჭიერეს მსახიობთა თაობასთან ერთად, სამუდამოდ შევიდეს ქართული თეატრის ანალებში.

განა „თეატრალური დროის“ გამახვილებული გრძნობით არ იყო დადგმული პ. კაკაბაძის დრამატული შედევრი „კახაბერის ხმალი?“ აქ გაიელვა პირობითობისა და მეტაფორულობის ახალმა სისტემამ, ქართული ნიღბებისა და „ბერიკული“ იმპროვიზაციების შემდეგ მიღწეულმა ეგრეთ წოდებულმა „გაუცხოების ეფექტმა“, რამაც რეჟისორს შესაძლებლობა მისცა ბუნებრივად შეერწყა ერთმანეთისათვის თეატრალური თამაში და ცხოვრებისეული განცდა. ეს სინთეზი, ამიტომაც, რეალურობისა და გროტესკის საზღვარზე გადადიოდა.

მისმა ვრცელმა რეპერტუარმა მოიცვა ანტიკური ტრაგედია და აღორძინების კომედია, ქართული, რუსული და უცხოური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები, ქართული პროზის ინსცენირებანი. ეს სივრცე იტევს აგრეთვე მრავალ თეატრალურ სიახლეს, მრავალ სახელს (კომპოზიტორისა თუ მხატვრისას) და, რაც მთავარია, მსახიობთა განუმეორებელი შემოქმედებით შექმნილ სახეებს, რომელთაგან ზოგიერთი კლასიკურ ნიმუშადაც არის მიჩნეული (მაგალითად, სესილია თაყაიშვილის ბებია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“). საერთოდ, ვერ დავასახელებთ მის ისეთ სპექტაკლს, რომელშიც თუნდაც ერთი საინტერესო სცენური სახე არ იყოს.

მისი შემოქმედებითი დიაპაზონი და ენერგია, როგორც ჩანს, ვერ ეტევა თეატრის სამყაროში. შინაგანი ძალის, შემოქმედებითი იმპულსის სხვა ხარისხით და სხვა სახით გამოვლენას ესწრაფვის იგი. ქართულ კინემატოგრაფს გიგა ლორთქიფანიძემ საგულისხმო ნაწარმოებები შესძინა, ხოლო „დათა თუთაშხიამ“ მრავალმილიონიანი აუდიტორია დაიპყრო, ქვეყანას გააცნო არა მარტო ჩვენი ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფურცლები, ქართული ხასიათი თუ ჩვენი ყოფის უვრცესი პანორამა, მისი ზნეობრივი სიმაღლე, არამედ ქართული სამსახიობო სკოლის უთვალსაჩინოესი მიღწევებიც.

ახლა იგი, ცხოვრების თეატრისა და თეატრის ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნე, ხელმძღვანელობს თეატრის მოღვაწეთა კავშირს. საყოველთაო გარდაქმნის პირობებში, როცა ჩვენი თეატრები „ოფიციალური“ ექსპერიმენტებისა თუ „არაოფიციალური“ ძიებების დემოკრატიულ ატმოსფეროში იწყებენ ცხოვრებას, ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო ამ კავშირისა და მისი ხელმძღვანელის აქტიურობაზე, არამედ იმაზეც, თუ რა ტენდენციას, რა სიახლეებს დაუჭერს მხარს და რას შეებრძოლება.

იმედი გვაქვს, რომ გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ნიჭი, მისი პოტენცია, ენერგია ახალი ძალით გამოვლინდება როგორც თეატრში, ასევე საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზეც.

ნოდარ გურაბანიძე.

ინტერვიუ ნომერში

არა სალაღობოდ

კვლავ პრემიერა. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს საყვარელ მსახიობებს — რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ს. ჭიაურელსა და გ. ბერიკაშვილს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს ქ. კიკნაძეს, მ. გორგილაძეს, გ. ჩუგუაშვილს, მ. თაბუკაშვილს, დ. დვალიშვილს, მსახიობებს რ. ჩხიკვიშვილს, ნ. დუმბაძეს, ც. კობიაშვილს, მ. ნებულიშვილს და სხვებს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი სპექტაკლი „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“ სალაღობო კომედია როდია, მრავალ სადღეისო სატკივარს თუ საჭირბოროტო საკითხს ეხმიანება იგი (პიესა თარგმნეს ვ. ნიკოლაძემ და ლ. ზვიადაძემ).

— ძალიან მიყვარს ედუარდო დე ფილიპოს ეს პიესა, — გვითხრა სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი თოდაძემ. — მოგეხსენებათ, საქვეყნოდ აღიარებულია ეს ავტორი. იგი შესანიშნავად იცნობს თეატრს და თავადაც კარგი მსახიობია. ედუარდო დე ფილიპო საინტერესოდ აგებს ნაწარმოებს, მასთან თითოეულ გმირს თავისი კონკრეტული ფუნქცია და მდიდარი სათამაშო „მასალა“ აქვს. პიესაში ომის თემის ფონზე წარმოჩენილია მოქალაქის გამეშჩანების პრობლემა, რომელიც დღესაც აქტუალურია. ალბათ, ამ ორმა პირობამ —პრობლემის აქტუალობამ და ფსიქოლოგიურად საინტერესო სახეებმა განსაზღვრეს პიესის ქართულ სცენაზე განხორციელებაც. ვფიქრობ, სწორედ მარჯანიშვილის თეატრში არიან დღეს ის მსახიობები, რომლებიც უნდა თამაშობდნენ ამ პიესაში. დადგმა მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა გივი გაჩეჩილაძემ, მხატვრობა ეკუთვნის შოთა გლურჯიძეს, ქორეოგრაფია თამაზ ვაშაკიძე. სასიხარულოა ჩვენთვის, რომ მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლი, თუმცა არ ვფიქრობთ, თითქოს იგი უნაკლო იყოს. დროთა განმავლობაში, ალბათ, რაღაცას შევცვლით კიდეც, შევმატებთ, [illegible] ლებთ. ჯერ კი საპრემიერო დღეებია, და [illegible] უცხო თვალით შეხედვა ნაადრევია.

ანტრაქტზე მსახიობებსაც გავესაუბრეთ.

სოფიკო ჭიაურელი: ჩემი როლები აქამდე ყოველთვის დადებითი იყო, ამალიაზე კი ამას ვერ ვიტყვით. მაინც ყველანაირად ვცდილობ, გავაკეთილშობილო ჩემი გმირი. მძიმე ცხოვრებისეულმა პირობებმა აიძულა იგი ხელი მიეყო სპეკულანტობისათვის; ეშმაკობისა და სიცრუის მეოხებით ახერხებს ამალია ოჯახის რჩენას, ბოლოს, გამდიდრებულს კი, საერთოდ ავიწყდება გაჭირვების სიმწარე, მაშინღა ვიხვდება ყოველივეს, როდესაც მომაკვდავი შვილისთვის იშვიათ წამალს სწორედ მისგან გამეტებული, გალატაკებული რიკარდო მიუტანს.

ვფიქრობ, რომ სპექტაკლში სრულიად ახალი კუთხით წარმოჩინდა გივი ბერიკაშვილის, ქეთევან კიკნაძის, მერაბ თაბუკაშვილის შესაძლებლობები. დიდი მონდომებით თამაშობენ ახალგაზრდები, თვით უტყვი როლებიც კი საოცრად მეტყველია. სპექტაკლი მართლაც ნათელი დასტურია იმისა, თუ რა კეთილგანწყობით თანაარსებობს მარჯანიშვილის თეატრში ეს ორი თაობა.

გივი ბერიკაშვილი: თეატრალურ სამყაროში ხშირად ამბობენ, რომ კომედიური ჟანრის მსახიობები ყოველთვის ოცნებობენ დრამატულ როლზე. ამ მხრივ ჩემთვის საინტერესო იყო ჯენაროს სახეზე მუშაობა. ვერანაირმა სიდუხჭირემ ვერ გატეხა ეს კაცი, ვერ დააკარგვინა ადამიანური სახე. ომის საშინელებებს გადარჩენილი, ნუ ჩაიდენთ ბოროტებასო, — ქადაგებს იგი. ცოლ-შვილთან ხომ გაუთავებელი დავა აქვს, არაკანონიერი გზით ნაშოვნი ლუკმა ყელზე ადგება, ყოველივე ეს იწვევს მაყურებლის თანაგრძნობას. [illegible], ჩვენთვის, მსახიობებისათვის, ძალიან ბევრს ნიშნავს მაყურებლის რეაგირება. მისი საშუალებით ვამოწმებთ საკუთარ თავს, რამდენად მართალნი ვართ სცენაზე. რომ იცოდეთ, რა დიდი ბედნიერებაა, როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ საგანგებოდ შემოდიან, რათა მადლობა გვითხრან.

ეს მადლობა ედუარდო დე ფილიპოსაც ეკუთვნის, რომლის პიესამ ღიმილთან ერთად სევდანარევი განცდაც დატოვა — დარბაზმა ხომ ეს ორი საათი მის გმირებთან ერთად იცხოვრა.

ლეილა კილაძე.

პირუთვნელი აზრი

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს პროფესორ ნადია შალუტაშვილის შრომებს. ერთ-ერთი მათგანი გამომცემლობა „ხელოვნებამ“ რუსულ ენაზეც გამოსცა. ეს გახლავთ სოლიდური ნაშრომი „ქართულ-უკრაინული ურთიერთობანი. რევოლუციამდელი პერიოდი“. წიგნს თავის დროზე მაღალი შეფასება მისცეს ჩვენმა სპეციალისტებმა, ხოლო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ იგი ცნო საუკეთესო სადოქტორო დისერტაციად თეატრმცოდნეობაში.

უკრაინის თეატრალურმა ჟურნალმა „უკრაინსკი ტეატრმა“ (1987, № 5), რომელიც უკრაინის კულტურის სამინისტროს ორგანოა და ორ თვეში ერთხელ გამოდის, დაბეჭდა პროფესორ ლიდია ბელეცკაიას რეცენზია „ქართულ-უკრაინული ურთიერთობანი“, მასში ვრცლად არის განხილული პროფესორ ნ. შალუტაშვილის ხსენებული ნაშრომი. რეცენზენტი ხაზს უსვამს წიგნის ავტორის დამსახურებას ქართულ-უკრაინული ურთიერთობის შესწავლაში, აღნიშნავს, რომ წიგნმა უკრაინელ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია უკრაინული თეატრის ისტორიის ღრმა ცოდნით, იმ ახალი მასალებით, რომლებმაც შუქი მოჰფინეს ბევრ საკითხს ქართულ-უკრაინულ თეატრალურ ურთიერთობაში. წერილში განსაკუთრებით აღნიშნულია წიგნის ის თავები, რომლებშიც განხილულია ქართული და უკრაინული თეატრალური საწყისების დამთხვევანი, კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა უკრაინაში, ლესია უკრაინკას საქართველოსთან კავშირურთიერთობა, ქართველ სამოციანელთა ესთეტიკური და იდეური კავშირი ტ. შევჩენკოს შეხედულებებთან. ლ. ბელეცკაია ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე წიგნის შემდეგ თავებზე: „დემოკრატიული, რეალისტური თეატრისათვის ერთობლივ ბრძოლაში“ და „ორ რევოლუციას შორის“.

ნ. შალუტაშვილის მონოგრაფია საბჭოთა თეატრმცოდნეობითი მეცნიერების ძვირფასი შენაძენია, — დასძენს წერილის ავტორი.

თეატრალური პრესის ისტორიიდან

„მსახიობის დღის“ დაარსება

1919 წლის 8 იანვარს სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის კრებამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: **ამიერიდან „იანვრის ორი ტრადიციული დღესასწაული იქნება ქართველ მსახიობთათვის ყოველ წელიწადს“.**

ამ კეთილშობილური გადაწყვეტილების გამოძახილი იყო ის, რომ 1920 წლის 2 იანვარს (ძველი სტილით) — ქართული თეატრის აღდგენის 70 წლისთავის დღეს — მსახიობთა კავშირის საბჭომ შალვა დადიანის რედაქტორობით გამოსცა სპეციალური ერთდროული გაზეთი „მსახიობის დღე“.

გაზეთის პირველი ნომერი იუწყებოდა, რომ „პარასკევს, 2 იანვარს, მთელ საქართველოში დღისით ქუჩებში ივლის პროცესია, გაჰყიდის საგანგებოდ გამოცემულ გაზეთს „მსახიობის დღეს“. საღამოთი ყველა თეატრში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები საუკეთესო ძალების მონაწილეობით“. საგულისხმოა გაზეთის ამ ნომრის ის ცნობებიც, რომ თბილისში ამ დღეს საზეიმო წარმოდგენა გაიმართება 14 სცენაზე: სახელმწიფო თეატრსა თუ საოპერო სტუდიაში, ნაძალადევის კლუბსა თუ ვერის აუდიტორიაში, ორთაჭალისა თუ გვარდიის კლუბში და რომ ასეთივე ზეიმი მოეწყობა ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, გორში, ჭიათურაში, თელავში, ოზურგეთში — მთელ საქართველოში...

მოწოდების მსგავსად ჟღერს გაზეთ „მსახიობის დღის“ ეს განცხადება: „ყოველი წლის იანვრის ორს უნდა ხდებოდეს ქართველი მსახიობის თავდადებული მუშაობის სანიმუშო გამოფენა სათეატრო სფეროში“.

1920 წლის დამდეგს, როდესაც საქართველო მწვავე პოლიტიკურ კრიზისთან ერთად უაღრეს ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა, მხოლოდ ერისა და მისი კულტურისათვის ჭეშმარიტად თავდადებულ ადამიანებს შეეძლოთ ასეთი დიდი საქმის წამოწყება, რომელიც მიზნად ისახავდა დაშლის პირამდე მისული ქართული თეატრის აღორძინებისათვის საიმედო ბურჯების შექმნას.

გაზეთი „მსახიობის დღე“ 1920-1923 წლებში მოგვევლინა არა მარტო იმდროინდელი ქართული თეატრალური ცხოვრების მემატიანედ და მისი განვითარების ეტაპების პირუთვნელ შემფასებლად, არამედ მისი სამომავლო გზის გამკვლევადაც.

პრესის ამ მაღალ მოთხოვნათა შესრულებაში გაზეთს დიდად უწყობდა ხელს იმდროინდელი ქართული თეატრის „მოქმედ“ მსახიობთა, რეჟისორთა, დრამატურგთა არაჩვეულებრივი პუბლიცისტური აქტიურობა. ნიშანდობლივია, რომ მათი კრიტიკულ-თეორიული ნააზრევი მარტო წიგნებიდან, სხვათა დაკვირვებებიდან გამომდინარე ზოგადი დებულებებით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ მეტწილად მათ მიერ უშუალოდ განცდილით, მათი ყოველდღიური თეატრალური მოღვაწეობით იყო ნასაზრდოები.

გაზეთი „მსახიობის დღე“ იმთავითვე ემყარებოდა ქართულ პრესაში თეატრალური საკითხების გაშუქების მდიდარ ტრადიციებს. ცნობილია, რომ ქართული პრესა დასაბამიდან მხარში ედგა ჩვენი ეროვნული თეატრალური ხელოვნების აღორძინების საშვილიშვილო საქმეს. ქართული თეატრისა და ქართული პრესის აღმავლობა ერთად წარიმართა. ილია ჭავჭავაძის მოხდენილი თქმით „ჩვენი თეატრი და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თითქმის ტოლები იყვნენ“ და ერთად შეზრდილნი მოემართებოდნენ.

ქართველ მსახიობთა კავშირმა, რომელიც მაშინ 92 ნამდვილი წევრისა და 5 თანამგრძნობისაგან შედგებოდა, გაზეთ „მსახიობის დღის“ გარშემო შემოიკრიბა ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწენი, — ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ვალერიან გუნია, გრიგოლ რობაქიძე, ალექსანდრე ახმეტელი, აკაკი ფაღავა, ნიკოლოზ შიუკაშვილი, იოსებ იმედაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო ფალიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი...

„სალამი თქვენდა, ზეგარდმო მადლით ცხებულო ადამიანნო! სალამი თქვენდა, ტანჯულნო და ერთგულნო დარაჯნო მშობლიურ ენისა! სალამი და თაყვანისცემა თქვენ, სამშობლოსადმი ღვთიური სიყვარულისა და ეროვნული, ქართულ „მე“-ს მესაყვარენო!“ — ასე დაიწყო „მსახიობის დღემ“ ჭეშმარიტი და ცხოველმყოფელი დიალოგი ქართული თეატრის მესვეურთა და ქართველ საზოგადოებას შორის, რომელიც დიდი კმაყოფილებითა და მოწონებით შეხვდა ამ მრავალმხრივ საინტერესო და საგულისხმო გაზეთის გამოსვლას, რომელიც მზრუნველობითა და სიყვარულით გამოეხმაურა ხელოვნებისა და ლიტერატურის არაერთ სხვა დარგსაც, საფუძვლიანად წარმოადგინა თეატრალური განათლების განვითარების გზები. მან ქართულ პრესაში პირველმა გააშუქა თეატრის მოღვაწეთა შორის ჩვენში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

ბუნებრივია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის განხილვისას ჩვენი ეს მცირე საგაზეთო სტატია ვერ დაიტევდა. ამიტომ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

„მსახიობის დღის“ 1923 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინთან გამოირჩევა ორიგინალური ფორმით. შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ იგი საგანგებოდ ჩერდება სამ სპექტაკლზე: კოტე მარჯანიშვილის „ცხვრის წყაროზე“, რომელიც მას სავსებით სამართლიანად მიაჩნია რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ საერთაშორისო მნიშვნელობის დრამატულ ქმნილებად, მიხეილ გედევანიშვილის სოციალურ დრამაზე „მსხვერპლი“, და ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერზე“, სადაც „გამოისახა პოეტური მგრძნობელობა და დაუშრეტელი ფანტაზია“ ჩვენი ხალხისა.

ოციანი წლების დამდეგის ქართული თეატრის განვითარების საოცარი პანორამაა წარმოსახული გრიგოლ რობაქიძის პატარა ესკიზში „ქართული თეატრი“, რომელიც იმავე ნომერშია დაბეჭდილი. ავტორი გვთავაზობს ჩვენი ეროვნული სცენის [illegible] გმირთა — სასიქადულო წინაპართა — მთელ წყებას. მისი ნატვრაა ქართულ სპექტაკლებს ამკობდეს „ფერები: შინდისა და სუროსი... სუნთქვა: მიწის დედის (ქართული) — ერთგულება მიწის მიმართ. ფსიქოლოგია მასსების...“ არტისტებს უნდა გამოარჩევდეთ ქართული „ტანადობა, თვალადობა, მოქნილობა, სიმარჯვე, ქცევა, სიტყვა... ქართული თეატრი მარტო ამ ხაზებში თუ გაიხსნება“.

მშობლიური თეატრალური ხელოვნების სვე-ბედზე ღრმა პროფესიული მსჯელობითა და დაუცხრომელი ზრუნვით არის დამშვენებული ალექსანდრე ახმეტელის სტატია „ახალი სახიობა“ (1923 წ., № 3). ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა: მიუხედავად იმისა, რომ „ძლიერია ქართველი ხალხი თეატრალური პოტენციით“, რომ „გვაქვს მრავალფეროვანი საშუალებანი, ღვთაებრივი ნიჭი — უნარი და ნაზი მგრძნობიარე ბუნება“, ჩვენ ჯერ კიდევ მაინც არ მოგვეპოვებაო „ნამდვილი ქართული თეატრი“, რადგან „იგი პირმშო შვილია დღევანდელ ჭირვარამულ ცხოვრებისა“.

დიდი რეჟისორი იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი ნამდვილი ქართული თეატრი, აუცილებლად მიიჩნევდა მსახიობთა ეროვნული კადრების აღზრდას „**ქართველი მსახიობი შექმნის ქართულ თეატრს**“, — რწმენითა და იმედით აცხადებდა იგი.

გაზეთი „მსახიობის დღე“ მნიშვნელოვანი მოვლენაა მეოცე საუკუნის ქართულ თეატრალურ პრესაში. იგი ჩვენი ეროვნული თეატრის დღევანდელი ზეიმის მოამაგე და დამამშვენებელია.

თამაზ კვარიანი.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

ტელევიზია—პარასკევი, 15 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მულტფილმები. 10.05 — მხატვრული ფილმი „ხანმოკლე შეხვედრები“. 11.40 — „ერთი ამოსუნთქვით“. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — დოკუმენტური ფილმი 17.05 — მულტფილმები. 17.40 — ტაჯიკეთის ტელევიზიის პროგრამა. 18.50 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. 19.20 — ფიგურული ციგურაობა. 20.20 — დღეს მსოფლიოში. 20.40 — ლ. შეპიტკოს ფილმები ტელეეკრანზე. „ფრთები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ხელოვნების ოსტატები ლუდმილა ჩურსინა. 23.55 — „შეხედულება“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — გარემო სამყარო. I კლასი. 9.55 — „მოსკოვის ზოოპარკში“. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 — ინგლისური ენა. 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისთვის. ლიტერატურა. 11.35 და 12.35 — ლიტერატურა V კლასი. 12.05 — ინგლისური ენა. 13.05 — „ხალხი ჭაობში. პოლესიეს ქრონიკა“. IV სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მოგზაურთა კლუბი. 20.15 — ყველასა და თითოეულისათვის. „სახლი სანაპიროზე“. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო“! 21.00 — ფეხბურთი. ჭაბუკთა ტურნირი. საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები — გფრ-ის ნაკრები. მე-2 ტაიმი. 21.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „ხალხი ჭაობში. პოლესიეს ქრონიკა“. IV სერია.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — დოკუმენტური ფილმი „გორკი. უკანასკნელი წლები“. 14.10 — დოკუმენტური ფილმი „მირაჟი“. 14.40 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.20 — „მუსიკალური ფოსტა“. 16.20 — დოკუმენტური ფილმი „სად წავიდა მთვრალი?“. 16.40 — განცხადებები. 16.45 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.15 — მულტფილმი — „ბუროონუშკა“. 17.30 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება“. 18.40 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 19.15 — „ჩვენი პრემიერა“. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნინო ასათიანი“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 19.40 — ჯ. გერშვინი—„რაფსოდია ბლუზის სტილით“ (ასრულებს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს რ. ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი ს. კორკოტაშვილის დირიჟორობით). 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. 21.55 — საქართველოს [illegible] ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი (მ). 22.50 — ახალგაზრდობისათვის. ზეიმი ბერიკონში.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „არც ერთთან“. 17.45 — „ცენტრალური ტელევიზიის გვერდითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დებიუტი“. 20.00 — მოამბე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ფ 05130 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14